


1984/2

ISSN 0182 - 5973



საქართველოს  
ეროვნული ბიბლიოთეკი



ЗОРИГАЗИ

3  
1984

# 60 წელი სახელის სახელი



— რაზეველო, ცერძდი! ხელი! — გაისა თავისის მე-15 საზევლო სერლის რაზეველის საგარეო თავაზღვეარის სრულიკო გაცდების დერიალა ხე. გავვევები გაინაგენე. ვ. ი. ლაცინის სახელმის მუზეუმის შითაღ დარჩაზო შე-მოაკვთ რაზეველის დროშა. ეს წახი, მთალი დღევანდელი დღე არასოდეს დაავიზუდებათ აა შეკრაგილ რეზომარე-ლებს — ისინი ხომ პირვერად ხდებიან. ისინ უსარიათ, რომ მათი პირვერთა რიგებში მიღება დიად თარიღს დაემთხვა — საკავშირო პირვერული რეგანიზაციისათვის ვ. ი. ლაცი-ნის სახელის მინიჭების 60 წლისთავს.

დგაბა საზევლო წეთაგი.

მათი უფროსი მეგორები — პირვერადი და პარტიისა და სამამულო ომის ვერარები ვიქტორ ლომია შითაღ ყელსას-ვევებს უკათვევან სახეათებულ გავვევებს.

— ცორეო დაცინებო! საგარეო კავშირის კომუნისტური კარტიის საქმისათვის საგრძლველად იყავ მზად! — გაის-მის მოცოდება.

— მზად ვართ! — ერთხელ კასახოგან პირვერადი და ყველას სრამს, რომ დღეს, აა ნათელ დარჩაზო მისამართ სიტყვას ისინი სასახლო საქმიანო დაამტკიცებან.





კარგა მოზრდილი ტერიტორია ვაკენის მიზანისთვის  
შენდა სასკოლო საცდელი ბასტანი  
და კაკლის ხეების ხევივი; ექტიური  
წვლილი შეიტანეს ნორჩმა ლენინე-  
ლებმა აუზის მშენებლობაში, ბოცვ-  
რებისა და იხვების მოშენებაში... ეს  
სია ჯერ ახლვე არ არის სრული,  
სამომავლოდ კი იგი კიდევ უფრო  
გაიზრდება. ამის იმედს იძლევა მეო-  
თხეკლასელ პიონერთა ყოველდღიუ-  
რი საქმიანობა, სწავლა, შრომა, მა-  
თი მუდმივი მზადყოფნა სიტყვითა  
და საქმით დაამტკიცონ ლენინის სა-  
ხელისადმი, მისი უკვდავი ანდერძი-  
სადმი ერთგულება.

# საქართველო მოწვევი უნივერსიტეტი 1984

ბევრ რამეს ავალებს თითოეულ  
პიონერს ნორჩი ლენინელის საპატიო  
სახელი.

ნორჩი ლენინელი ყველგან და  
ყველაფერში ბოწინავე და სამაგალი-  
ოთ უნდა იყოს, იგი მუდამ მზად უნ-  
და იყოს ლენინის საქმისათვის საბრ-  
ძოლველად, პარტიის, კომუნისტიკის  
მოწოდების ცხოვრებაში გასატარებ-  
ლად. ამ რწმენით ცხოვრობს იბი-  
ლისის 117-ე სკოლის მთელი პიონერ-  
რული რაზმეული, ის განსაზღვრავს  
მათი საქმიანობის მთავარ მიმართუ-  
ლებებს და შინაარსს. მანვე განსაზ-  
ღვრა რაზმეულის სამოქმედო დევი-  
ზი — „ყოველ პიონერულ რაზმს  
— დამკარელური საქმე, ყოველ პი-  
ონერს — შრომითი დავალება“. ყვე-  
ლა რაზმი ყოჩალობს, ვერც ერთს  
ვერ დაემდურები, მაგრამ IV<sup>2</sup> კლა-  
სელები მაინც გამოირჩევიან მთელ  
რაზმეულში ბეჭითი სწავლით, მო-  
წადინებით, დაუზიარელი გარჯითა და  
კარგი დისციპლინით, მათ მარჯვენა-  
ფლანგელი რაზმის სახელი მოაპო-  
ვეს და ახლა მთელი სკოლის ნორ-  
ჩი ლენინელებისთვის სამაგალითოი  
განვლენა.

თავდაპირველად მეოთხეკლასე-  
ლებს ცოტა არ იყოს უნდოდ უყურე-

ობილისის 155-ე საშუალო სკოლის  
3. ჩანჩიბაძის სახელობის პიონერუ-  
ლი რაზმეულის ყველა 448 პიონერს  
ერთი საერთო სულისკვეთება ერთი-  
ანგარიშის, რომელიც საკავშირო პიონე-  
რული მარშის „ახალი ეტაპის დევიზს  
ეხმანება: „ლენინის სახელს ყველა  
გულში ვატარებთ მტკიცედ, პარ-  
ტიის ერთგულებას ჩვენ საქმით და-  
ვამტკიცებთ“.

სასწავლო წლის დაწყებისთანავე  
მიიღეს ნორჩმა ლენინისტებმა გადა-  
წყვეტილება წარმატებით ვაევრძე-



კადლიც გაზათის ეს ნომერი პიონერული ორგანიზაციისათვის  
აიდი: ლენინის სახელის მინისტრის 60 წლისთავს ეძღვნება.

ქ. გარეჯის ს. საქ-სარ  
სახელმწიფო უნივერსიტეტი



ლებინათ რაზმეულის კარგი ტრადიციები. აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საკავშერო პიონერული შრომითი საქმეების ხუთწლედში, ეზრუნათ საკავშირო მარშის პროგრამის წარმატებით შესრულებაზე, და რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ყურადღება აკადემიური მოსწრებისათვის დაეთმოთ. წლის დასაწყის-შივე ჩატარდა რაზმეულის საზეიმო შეკრება „ვიშრომებ, ვიცხოვრებ ისე, როგორც გვიანდერდა დიდმა ლენინმა“. ახლა, როცა დაჯამდა პირველი სემესტრის შედეგები, თამაბად შეიძლება ითქვას, რომ პიონერული სიტყვა საქმით მტკიცდება, ეს რაზმებს შორის გამოცხადებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგების განხილვისასაც დადასტურდა (ეს შეჯიბრება პიონერული ორგანიზაციისათვის ლენინის სახელის მინიჭების 60 წლისთავს მიეძღვნა). გამარჯვებულად ზ. კოსმოდემიანსკიას სახელობის X და კ. ლესელიძის სახელობის VIII რაზმი ცნეს. წარმატებით მონაწილეობენ სკოლის პიონერები შრომით ოპერა-

ციებში „თეთრი ფარი“ და „შავი საბადო“. მერვერაზებებმა აქაც იყოჩაღეს და მეოთხე და მესუთე-რაზმებებთან ერთად სხვებზე მეტი მაკულატურა და ჭართი შეაგროვეს. სწორედ ამ წარმატებებისათვის იყო, რომ სკოლა ფერადი ტელევიზორით დაჯილდოვდა.

დიდი პოპულარობით სარგებლობს სკოლაში პიონერული რაზმეულის კედლის გაზეთი. მისი ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას მარტო პიონერები კი არა, კომკავშირებები და ოქტომბრებიც დიდი ინტერესით ხვდებიან. რედაკოლეგის კარგი მუშაობის წყალობით (რედაქტორი ი. სარიშვილი, მხატვარი შ. წიკლაური) გაზეთი ჩამოიტანილი აშუქებს რაზმეულის ცხოვრებას. წინ წევს აქტუალურ პრობლემებს, ნაკლოვან მხარეებს. პიონერების საერთო აღიარებით გაზეთი ძალიან ეხმარებათ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, მათ წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებაში.

სინტერესოდ მუშაობს სკოლის

ინტერნაციონალური მედიასტური კლუბი. დღე ისე არ გავა, მარტის ტამ კლუბის სახელზე გამოგზავნილი რამდენიმე წერილი არ მოიტანს. იწერებიან საბჭოთა კავშირის სხვა-დასხვა ქალაქებიდან, სოციალისტური ქვეყნებიდან. ინტერკლუბელები სტუმრებსაც ხშირად ღებულობენ. ამ წინებზე რაზმეულის ცხოვრების გასაცნობად სკოლას თბილისში სემინარებზე მყოფი პიონერხელმძღვანელები ეწვივნენ. მათ დაათვალიერეს სკოლა, ესაუბრნენ პიონერულ აქტივს, მოუთხრეს თავ-თავიანთი სკოლების პიონერების საქმიანობაზე. სკოლამ ამერიკელ მასწავლებელთა დელეგაციისაც უმასპინძლა. სტუმრებმა ინტერესით დაათვალიერეს სკოლა, გაეცნენ მისი პიონერული და კომკავშირული თრგანისტური ცხოვრებას.

გენერალ ჩანჩიბაძის სახელობის პიონერული რაზმეულის პიონერები კვლავაც სასახელოდ ისწავლიან და იწომებინ. ყველაფერს გააკეთებენ, თათა ღირსნი იყვნენ ნორჩი ლენინელი, საპატიო წოდებისა.



155-ე  
სკოლის  
ინტერკლუბულები  
და  
პიონერების დღე  
მ. გოგიაზვალი  
კლუბის  
მოწინ  
გებადინეობაზე.

გენადი  
სანაიას  
ზორბე



### ახალგაზრდობა

შენ სხვანაირად ფიქრობ —  
ხარ სხვანაირი კაცი,  
ხან გულერთილი მეტად,  
ხანაც ძალიან მკაცრი.

შენში ბობოქრობს ასევ  
ძველი და წმინდა სასხლი.  
ცრემლი აწონე მისხლით,  
სისხლიც აწონე მისხე ით.

შენმა ხელებმა დადგა  
ყამირზე პურის ძები,  
გჯერა, რომ ქვეყნად ყველა  
ვართ მართლა ღვიძლი ძმები.

შენ სასახელო დღეებს  
შარავანდედი ადგას,  
და გიყვარს, სიძულვილი  
არ შეგიძლია რადგან!

მზეს შიშველ ხელით იჭერ  
და აფერადებ ღრუბელს.

ჰქურნავ ყოველგვარ იჭვებს,  
მზის სხივით ივსებ უბეს.

კეთილი ქარი ბერავს  
შენი იმედის აფრას,  
შენ საკუთარი ხელით  
დარგე შენივე დაფნა,

შენს სახვალიო მიზნებს  
ძლიერი ფრთხები ახლავს,  
ჩემო თაობავ, სწორდი!  
ჩემო თაობავ, მაღლა!

გაგახსნდებათ საღმე  
ჩემი სიმღერის გემო.  
ნუ გეშინია ღელვის,  
ზღვაში გასულო გემო.

ანდერძად ჩაგითვლია,  
რაც მამა-პაპას უთქვამს,  
და აბარბაცებს მიწას  
ჩემი თაობის სუნთქვა.

უცხოა შენთვის შური  
და „ოცდაათი ვერცხლი“,  
დაიმორჩილე სრულად  
მიწა, წყალი და ცეცხლი.

გაქვს ღონიერი მკლავი  
და გაბედული აზრი,  
შენ შეინახო უნდა  
დედაენა და ვაზი.

გადახდა უნდა ვალებს  
დედისეული მიწის,  
აკრ გაანათებს ვინაც, —  
მხოლოდ თავისთვის იწვის.

ხვალ გასაშლელი კვირტი  
იმედებს გააახლებს,  
გადაეცემა საჭე  
შენს საიმედო ხელებს.

შენი ოცნების რაშებს  
არ შეეტყობათ დაღლა...  
ჩემო თაობავ, სწორდი!  
ჩემო თაობავ, მაღლა!

შათვარი ირინა რაზმაპი

ენავ,  
დადაო ჩამ

სუფთა, როგორც ცის ემბაზში  
მოცურავე ფანტელები,  
სიკვდილამდე დაუთმობი —  
მუდამ მეჟრუანტელები.

შენი სუნთქვით მოქარგულა  
ზღაპრები და ანდაზები,  
შენ გმორჩილებ, შენ გლოცულობ,  
შენ ერთს გეფიანდაზები.

შენ ერთს განდობ გულს და  
თვალებს,

შენ — სათნოს და ამოდ კეთილს,  
შენ ამოხსნი ამოუხსნელს,  
ცხრაკლიტულში გამოკეტილს.

შენით ითქმის, რაც არ თქმულა,  
ამად ვბრძენობ, ამად ვტკბები.  
შენით მცივა, შენით მტკივა,  
სულ შენ მეანდამატები.

ხან მალამოვ, ხან ალამო,  
ოდავ, კოშკო და ნალიავ,  
შარავანდი რასაც ადგას,  
შენი ნამირონალია.

...სუფთა როგორც ცის ემბაზში  
მოცურავე ფანტელები,  
სიკვდილამდე დაუთმობი,  
მუდამ მეჟრუანტელები.





ნებულ  
აზეზავა

შხატვარი  
ჯეალ ლოლუა

# ჭურვი, ტერბერი!

ა თ თ ხ რ ი გ ა

ბომბდამშენებმა გადაიქროლეს. ახლა ორიოდე წუ-  
თით შეიძლებოდა სულის მოთქმა.

— ამხანავო მეთაურო! — მოისმა სალაპარაკო მილი-  
დან ერშოვის ხმა — იგი ახლა რადისტის მოვალეობა-  
საც ასრულებდა. — ჩვენს საშველად თორმეტი „ლა-5“  
გამოფრინდა! წუთი-წუთზე აქ იქნებიან!

— ბიჭებო, გამაგრდით! — სივენკოს ბრძანება უფრო  
თხოვნას ჰგავდა. — კიდევ ერთ იერიშს უნდა გავუ-  
ლოთ! ცოტალა დარჩა!

შენიამ ცარიელი ლენტები ვაზნებით გააწყო, ფეხზე  
წამოდგა და მიმოიხედა. ფედია ფომინი ყუმბარების  
ჟუტზე იჯდა და ბარძაყს იხვევდა. საშა სემეიკინი და  
ანდრეი ტკაჩენკო მოგლევილ ქვემებს ეძიგილავებოდ-  
ნენ; საშას ლოყიდან სისხლი სდიოდა. გასისხლიანებუ-  
ლი და მჭვარტლისაგან მთლად გაშავებული რამაზ  
ოდიკაძე გემბანზე ამოსულიყო და ხანძრის კერების ჩა-  
ქრობაში ეხმარებოდა კოლია ერშოვსა და ვანია შენ-  
გურს. სისხლით დაღაქავებული გემბანი ცარიელი მას-  
რებით იყო მოფენილი. კატარლა ხელა ირწეოდა, მას-  
რები ხან აქეთ, ხან იქით მივორავდნენ და ხმადაბლა  
წერიალებდნენ. ფლაგშტოკზე ქარი ატყაცუნებდა ნამსხ-  
ვრევებისაგან დაფხრეწილ ალამს.

— ყურადღება! „იუნკერსები!“

ორი რგოლი ერთბაშად დაექანა კატარლისაკენ. ვანია  
შენგურმა ოთხჯერ გაისროლა და დააცილა. სამაგიე-  
როდ, ამჯერად კუროპიატნიკოვმა იმარჯვა — მისი  
ტყვიამფრქვევის ჯერმა ცხვირიდან კუდამდე დაცხრილა  
ჯერ მეწინავე „იუნკერსი“, ხოლო შემდეგ — მისი მიმ-  
ყოლიც და ორივენი ზედიზედ გაუჩინარდნენ წყლის  
სიღრმეში.

— ყოჩალ, ზემდეგო! — არ დააყოვნა სივენკომ. —  
ეგრე!

— ეგრე! — კბილებში გამოსცრა გრიშამ.

ირიბად წამოსულმა ბომბმა ქიმი გაანგრია და აფეთ-  
ქდა. საშინელი ძალის დარტყმამ კატარლა კინალამ გა-

დააბრუნა. თითქოს სათამაშო ხუსულააო, წამში დაინ-  
გრა ჯიხური და კაპიტნის ბოგურა, ძირში გადაიმტვრა  
ანდა, სადგარს მოსწყდა ქიმის ტყვიამფრქვევები. ნამსხ-  
ვრევებისაგან დაცხრილული სივენკო და ერშოვი აფეთ-  
ქების ტალღამ ზღვაში გადაისროლა და ზედაპირზე მე-  
ტრად აღარ გამოჩენილან. წაიქცა ვანია შენგურიც. ტულ  
ბოლოს უენიამ კუროპიატნიკოვისაენ მოიხედა და ელ-  
და ეცა — მეზენიტე გემბანზე იჯდა, ტყვიამფრქვევის  
სადგარს ზურგით მიყრდნობოდა და იდაყვს ქვემოთ  
წუტყვეტილ მარცხენა ხელს დაჰყურებდა. ჭრილობიდან  
თქრიალით სდიოდა სისხლი, სისხლი სდიოდა გახეთ-  
ქილი წარბიდანაც, მარჯვენა მხარიც წითლად ჰქონდა  
შეღებილი.

— გრიშა...

მეზენიტემ გაოცებით შეხედა იუნგას, მერე უცებ მოე-  
გო გონს და ბიჭს მოეჩვენა, რომ გაიღიმა კიდეც. შე-  
ნიამ სწრაფად შეიხსნა ქმარი და იდაყვს ზემოთ მაგ-  
რად გადაჰჭირა დაჭრილს. ზემდეგმა თავი დაუქნია.  
წამოდგომა დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო და ვიღრე  
გრძნობას დაკარგავდა, საღი ხელი მოახლოებული „იუ-  
ნკერსებისაენ“ გაიშეირა:

— იუნგა, ცეცხლი!.. — ამოიხრიალა და წაიქცა.

შენია ტყვიამფრქვევს ეცა. სამიზნე ბადეში „იუნკერ-  
სის“ დაჭერა არ გასჭირვებია, მაგრამ მეზავმა ტყვიე-  
ბმა გვერდით ჩაუარეს ბომბდამშენს. მტერს, როგორც  
ჩანს, კატარლის საქმე გათავებული ეგონა და იერიში-  
სათვის მზად არ იყო, ამიტომ „იუნკერსებმა“ ამჯერად  
ისე გადაიქროლეს, ტყვია არ გაუსროლიათ.

შენია ახალ ლენტს დასწვდა.

კუროპიატნიკოვი გონს მოვიდა, წამოიჩინა და ამდ-  
ვრეული მზერა მოავლო გავერანებულ კატარლას. მისი  
მზერის არეში უცებ კიჩოზე ავარდნილი სქელი კვამლის  
სვეტი მოხვდა. „საკვამლე კოჭები! — გაუელვა ზემდეგს.  
— იქვე კი სიღრმული ბომბებია!“ გრიშამ ტყვიამფრქ-  
ვევის სამიზნეს მიკრულ უენიას გახედა, მერე პორიზო-  
ნტი მოათვალიერა. საცაა, ისევ გამოჩნდებოდნენ სვა-  
ვები...



— უენია, ტყვიამფრქვევს არ მოსცილდე! — ძლივს  
გააგონა იუნგას. — გესმის, უენია?

- მესმის, გრიშა! შენ იწევი.
- არ-რა...

ზემდეგი გაცოცდა. ყოველი მოძრაობა ჯოჯოხეთურ  
ტკივილს ჰგრიდა, მაგრამ არ შეჩერებულა. როგორც  
იქნა, მიაღწია... ორი კოჭა ბოლავდა სულ — ეს არა-  
ფერი, მაგრამ ბომბების სიახლოვეს გემბანის ფენილს  
ცეცხლი ეკიდა. აი. ეს კი ჭეშმარიტად სასიკვდილო სა-  
ფრთხე იყო!.. მადლობა ღმერთს, ბომბჩამყრელები მუ-  
შაობდა. „მთავარია, გონება არ დაკარგო!..“ ზედიზედ  
ტყაპანით ჩაცვიდა წყალში ექვსი სილრმული ბომბი.  
კუროპიატნიკოვმა იგრძნო, რომ ღონე საბოლოოდ გა-  
მოელია და ისევ კარგავდა გონს. არაადამიანური ძა-  
ლით მოახერხა შემობრუნება, მოახლოებული „იუნკერ-  
სები“ შენიშნა და ისიც შესძლო, რომ კიდევ ერთხელ  
მიეწვდინა ხმა ნორჩი მეტყვიამფრქვევისათვის:

— იუნგა, ცეცხლი!

უენიას უკან მოსახედად აღარ ეცალა. ტრანსპორტზე  
უკეთ ჭახახებდა საზენიტო ტყვიამფრქვევი და როცა  
სამიზნე ბადეში ისევ გამოჩნდა მეტინავე „იუნკერსის“  
ცხვირი, ბიჭმა მოპიკირე თვითმფრინავის შესახედრად  
გრძელი ჯერი გავზავნა.

კუროპიატნიკოვს არ დაუნახავს, როგორ ამოტრიალ-  
და ჰაერში „იუნკერსი“, არც ახალი აფეთქებების გრგვი-  
ნვას მიუღწევია მის სმენამდე და, რაღა თქმა უნდა,  
ვერც იმას დაინახავდა, როგორ შეტოკდა უცებ ტყვია-  
მფრქვევთან მდგარი იუნგა, როგორ გაიმართა წელში  
და როგორლაც უცნაურად გვერდულად დაეცა გემბანზე...

თვალი გაახილა თუ არა, მაშინვე ისევ დახუჭა — ამ-  
დენ ხანს წყვდიადში ნამყოფმა უცებ ვერ გაუძლო პა-  
ლატის სინათლეს.

...იმ დღეს დაჭრილი იუნგა სამმა მეზღვაურმა მოი-  
ნახულა. ერთს იგი იცნობდა, ეს იყო მე-5 დივიზიონის  
მეთაური, მე-3 რანგის კაპიტანი მასალებინი. მასალებინმა  
ის ორიც გააცნო — სკა-065-ის მიერ გადარჩენილი  
ტრანსპორტის მეთაური, კაპიტან-ლეიტენანტი გორჩა-  
კოვი და ამავე ტრანსპორტის მეზენიტე გრანინი.

— აბა, როგორა ხარ, ზღვის მგელო? — დაიროხონა  
მასალებინმა — აღარ მოგებებდა ლოგინში კოტრია-  
ლი?.. იწევი, იწევი, არ გაიძრე!

— მომბეზრდა, ამხანაგო მესამე რანგის კაპიტანო,  
მაგრამ...

— ხედავთ, როგორი არწივია? — ამაყად გადახედა თა-  
ნმხლებ მეზღვაურებს მასალებინმა. — აი, სულ ასეთი ბი-  
ჭები მყვანან დივიზიონში! აბა, თქვენ გეგონათ, ტყუ-  
ლად წარვადგინეთ წითელი დროშის ორდენზე?

უენიას დასცხა, შუბლი რფლით დაეცვარა.

— ჟო, რა მოგივიდა? — მიუხვდა დივიზიონის მეთა-  
ური. — რა ჩემი ბრალია. აგერ ამათ მოსთხოვე პასუ-  
ხი! აი, გრანინი ამტკიცებს, ბოლო „იუნკერსი“ კატარ-  
ლამ ჩამოაგდო. კატარლაზე კი იმ დროს მარტო შენი  
ტყვიამფრქვევი მოქმედებდა.

„შენი ტყვიამფრქვევი!“

— სწორედ ასეა, ამხანაგო მესამე რანგის კაპიტანო  
დაუდასტურა გრანინმა და ვინ იცის, მქრაძეებედ  
გაიმეორა: — მე ჩემს ნახელავს კარგად ვცნობ, ჩემი  
ტყვია რომ მოხვედროდა, გვერდში უნდა მოხვედროდა,  
ის კი მუცელში დაიჭრა, იმიტომ რომ პირდაპირ კატა-  
რლაზე მოდიოდა, იუნგამ პიკედან გამოსვლისას დასცხო  
და გამოფატრა კიდეც. ასე არ არის, ამხანაგო კაპიტან-  
ლეიტენანტო? — თავის მხრით გორჩაკოვი დაიმოწმა  
გრანინმა.

— ასეა, ყველაფერი დღესავით ნათელია, იუნგა!

— ერთი სიტყვით, მალე მკერდს მაღალი ჯილდოთი  
დაიმშვენებ, დამსახურებული ჯილდოთი, — დაასკვნა  
მასალებინმა.

— სხვები?

— სხვები?.. ხედავთ, სხვებიც აინტერესებს... თქვენი  
კატარლა, ჩემო ძმაო, გვარდიული გახდა, მატროსებმა  
სხვადასხვა ჯილდო დაიმსახურეს, ხოლო შენი მეგობა-  
რი, გრიგოლ კუროპიატნიკოვი, საბჭოთა კავშირის გმი-  
რის წოდებაზეა წარდგენილი და მიიღებს კიდეც. ა,  
როგორ მოგწონს?

— ძალიან მომწონს, ამხანაგო მესამე რანგის კაპი-  
ტანო!

### 13

უენია — კლავდია კოზლოვას.

გელენჯიკი. 15. 4. 43.

...ჩემი ჭრილობა თითქმის მოშუშდა. იმ პატაწინა  
ნამსხვრევს, სადღაც ფილტვთან რომ გაიჩინია, თითქ-  
მის ვერა ვგრძნობ. ექიმი მეუბნება, საშიში არ არისო,  
ოდესმე, დროთა განმავლობაში თუ შეგაწუხებს, მაშინ  
შეიძლება ოპერაციის გაკეთებაო.

აქ მე მოვლა და ყურადღება არ მაკლია, ასე რომ  
ტყუილად ნუ ეცდები ჩემს გადმოყვანას თბილისში.  
ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უხერხულია, უკვე  
არც ისეთი პატარა ვარ, მეცამეტეში გადავდექი — პა-  
ტა სააკადე ჩემზე უფროსი კი არ იყო... გარდა ამისა,  
გამოვალ თუ არა პოსპიტლიდან, აუცილებლად კატა-  
რლაზე დავბრუნდები.

თემო თუ გხვდება, გამილადიშვილი? ან რატომ მა-  
რატსა და ლიალიაზე არაფერს მწერ? ხომ კარგად არიან  
ყველანი?

...მომიკითხე მიშა ძია, ეკა-ეკატერინე, ჩემი თანატ-  
ლები, ნინო მასწავლებელი... თავს მოუარე...“

უენია — თემო გამილადიშვილს.

გელენჯიკი. 25. 5. 43.

„...დედაჩემმა მაინც მიაღწია თავისას. დღეს ჩემმა  
მეგობარმა მომინახულა, რამაზ ოდიკაძემ, იმან ითხ-  
რა: კლავდია ფედოროვნას შავი ზღვის ფლოტის ხალი  
სარდლისათვის, კონტრ-ადმირალ ვლადიმირსკი. ათვის  
მიუწერია, ჩემი შვილი არასრულწლოვანია და; თხოვთ  
ფლოტიდან დაითხოვთოთ. ბედი არ გინდა? სულ რაღაც

ერთი თვეა, რაც ეს ვლადიმირსკი დანიშნება. ადრე სარდლად ვიცე-ადმირალი ოქტიაბრსკი იყო, ფილიპ სერგეევიჩი, ის მამაჩემსაც კარგად იცნობდა და მეც პირადად მიცნობს. ეგ რომ ახლა სარდალი იყოს, უარს არ მეტყოდა ფლოტში დარჩენაზე, ვლადიმირსკის კი კაცი თურმე ვერცერთი კუთხით ვერ მიუდგება. მე მაინც ვსიჯავ და, თუ არაური გამომივიდა, ავდგები და პოსპიტლიდანვე გავიპარები...

„საწყალი ბელა! რა უნდა ჰქნას ახლა უიმისოდ უბედურმა მარკ მაქსიმოვიჩმა?.. მართალი გითხრა, გამიკვირდა, რომ მწერ – ბეზუსიმ ქარხანაში დაიწყო მუშაობათ. ნამდვილად არ მოველოდი.

კარგია, ეკას რომ ყურადღებას აქცევ. არეული დროა, ვინმემ რამე არ აწყენინოს, თუმცა ევ ისეთი გოგოა, თავს ადვილად არავის დააჩავრინებს....

პავლიკას უთხარი, წერილი მომწეროს...“

— ჟენია — რამაზ ოდიკაძეს.

თბილისი. 10. 1. 44.



„...დღეს ჩემი დაბადების დღეა, 13 წლისა ვაჟსდო ვიცი, ახლა თქვენთან, კატარლაზე რომ ვიყო, უთუოდ აღნიშნავდით... ვერ წარმოიდგენ, როგორ შენარჩუნით ყველანი... ბავშვივით გული ამიჩუყდება ხლლები, ჩვეს ეკიპაჟს რომ ვიხსენებ.“

მე ნახიმოვის სახელობის სანაოსნო სასწავლებელში ვწავლობ. წარმოგიდგენია? სწავლის დროა ახლა? ფრონტზე ასეთი ამბები ხდება, მე კი აქ ნაოსნობის ანაბანას მიჭედავენ თავში! ვითომ ვიღაც ახალბედა ვიყო!... არა, აქედანაც გავიქცევი...“

ჟენია — თემო გამილადდიშვილს.

ფოთი. 11. 4. 44.

„...ჩემი მაინც ვავიტანე. კაცური კაცია ფილიპ სერგეევიჩ იქტიაბრსკი, ახლა ისევ ისაა შავი ზღვის ფლოტის სარდალი. მასთან ძველმა ნაცნობმა, მე-3 რანგის კაპიტანმა გოდლევსკიმ მიმიყვანა. ყველა ჩემი ჯილდო ჩამოვრკიდე (მედლები — „ოდესის დაცვისათვის“, „სევასტოპოლის დაცვისათვის“, „კავკასიის დაცვისათვის“, წითელი დროშის ორდენი) და ისე შევედი. მომისმინა. წამოდგა, ხელი ჩამომართვა და მითხრა: „სევასტოპოლზე“ გამოცხადდი, ორ-სამ დღეში ღუზიდან მოიხსნებით და ოდესაში ჩახვალთ, ჩვენ ახლა დუნაის ფლოტილიას ვემნით და იქ გაგამწესებთო... ჩვენს ჯარებს წინადღეს გაუთავისუფლებიათ ოდესა...“

„სევასტოპოლი“ სახაზო გემია (წინათ „პარიზის კომუნა“ ერქვა). ჩემს პატარა სადარაჯო კატარლას კი არ ჰგავს, თითქმის ათვერ დიდია მასზე, შეიარაღებას კი ნუღარ იკითხავ. ანუ ვკიპაჟი? 1500 კაცზე მეტს ითვლის.

კაპიტნის კაიუტაში კიდევ ერთი ნაცნობი ვნახე — მამაჩემის ამხანაგი, მე-3 რანგის კაპიტანი მიხეილ ჯინჭარაძე. გოდლევსკიმ სახაზო გემის მეთაურს ჩემი თავი რომ წარუდგინა, ჯინჭარაძემ ღიმილით მკითხა: რაო, იუნგა, ადმირალობას თუ აპირებო?“ მე ნახიმოვის სიტყვებით მივუგე: „უხეიროა ის მატროსი, ტომელიც ადმირალობაზე არ ფიქრობს-მეთქი“. გაეცინათ, მართალი ხარო, მითხრეს.

ერთი სიტყვით, ისევ ფრონტზე მივდივარ... ფიცი ფიცია: ძვირად დავუსვამ ფაშისტებს მამაჩემის დალუპვას!..“

ჟენია — კლავდია კოზლოვას  
იზმაილი 28. 8. 44.

„...ერთი სიტყვით, დუნაის ფლოტილის ჯავშანკატარლათა პირველ ბრიგადაში გამამწესეს.“

გამოვცხადდი № 333 ჯავშანკატარლაზე, წარვუდექი მეთაურს, უფროს ლეიტენანტ გიორგი პროკუსს. მოვახსენე, როგორც წესი და რიგია. ამხედ-დამხედა. „მაშ, შენა ხარ ის სახელგანთქმული იუნგა?“ — მკითხა. დაცინებასავით გამოვიდა, მაგრამ მერე ბიჭებმა ამისსნეს, საერთოდ ასეთი ლაპარაკი სჩვევია, თორემ ისე კარგი კაცი და კარგი მეთაურიაო... პოდა, ადიუტანტს უბრძანა, მერომ გითხარი, ის მატრისი შემომიყვანეო. კარი გაიღო და რას ვხედავ: ჩვენი რამაზი არ შემოვიდა გაბადრული ღიმილით?! თურმე მიხეილ ჯინჭარაძისაგან გაუგია, ოდესაში რომ ჩამოვედი, ამდგარა და ჩვენი ბრიგადის მეთაურთან, მეორე რანგის კაპიტან პავლე დერევანინან მისულა, უთხოვია, მე და ტოპრაკაშვილი ომის დასაწყისიდან მხარდამხარ ვიბრძოდით და როგორმე ერთ კატარლაზე მოგვაწვედრეთ. ასე რომ, დედი, ისევ ერთად ვართ და შიში ნურაფრისა გექნება.

გუშინ რუმინეთის სამდინარო ფლოტმა კაპიტულაცია გამოაცხადა. ორ-სამ დღეში ალბათ დავიძვრებით და დუნაის ავყვებით ჟემო წელისაკენ.

...დედი, სევასტოპოლის გათავისუფლებისათვის სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენზე ვარ წარდგნილი. რამაზიც მიიღებს ჯილდოს.

ძალიან მენატრებით შენც, თბილისიც, ამხანაგებიც... მაგრამ, მგონი, ცოტალა დარჩა. მალე დამთავრდება ომი...“


14

წითელდროშოვანი ბალტიის ზღვის ფლოტის მეზღვაურებმა მოხდენილად უწოდეს სატორპედო კატარლებს „ჯიბის საესკადრო ნაღმოსნები“, ზღვის მცირე მონადირეებს — „ჯუჯა კრეისერები“, ხოლო ჯავშანკატარლებს — „ცეროდენა სახაზო გემები“. მერე სხვა ზღვებზედაც გავრცელდა ეს საალერსო და სახუმარო მეტსახელები.

დუნაის ფლოტილიის მთავარი დამკვრელი და სადესანტო ძალა ჯავშანკატარლათა ბრიგადა იყო. ამ „ცეროდენა სახაზო გემებმა“ ცეცხლისა და ტყვიის ქარიშხალში აიარეს წყალუხვი დუნაი შესართავიდან ავსტრიის დედაქალაქ ვენამდე. უკან მოიტოვეს თითქმის ორი ათასი კილომეტრი და გამარჯვების დღესასწაულს იქვე, ვენაში შევდნენ.

მაგრამ ვიდრე ვენას მიაღწევდნენ, დუნაის ფლოტილიის ჯავშანკატარლებმა სხვა მცირე ხომალდებთან და საზღვაო ქვეითთა ორგზის წითელდროშოვანი სუვოროვის ორდენოსანი ნოვოროსიეს-დუნაის 83-ე განცალკევებული ბრიგადის მებრძოლებთან ერთად მახვილით გაიკაფეს გზა რუმინეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, უნგრეთის, ავსტრიის ტერიტორიაზე და გაათავისუფლეს თუ აიღეს ათობით დიდი და პატარა ქალაქი — ტულჩა და გალაცი, რუსე და სმედერევო, ბელგრადი და ნოვი-სადი, ვუკოვარი და ბუდაპეშტი, ვაცი და ესტერგომი, კომარნი და ბრატისლავა...

ბრატისლავა — სლოვაკიის დედაქალაქი — ჩვენმა ჯარებმა 1945 წლის 4 აპრილს გაათავისუფლეს.



1945 წლის 5 აპრილის მზიანი, მაგრამ საკმაოდ გრილი დილა იდგა. დასავლეთიდან სუსტი ნიავი უბერავდა.

მცირე კარპატის ქედის ახლად აზურმუხტებული კალთები ჩრდილოეთისაკენ სწრაფად იწევდა მაღლა და ლავარდისფერ შორეთში იკარგებოდა.

იმ ადგილის, ცოტა ზემოთ, სადაც ჩრდილოეთიდან გიუვით მოვარდნილი მორავა დინჯად მოტორტმანე ცისფერ დუნაის უერთდება (თუმცა იგი აქ ცისფერი კი არა, სინამდვილეში მტკვარზე უფრო მღვრიეა), პატარა ყურეში ფრიალო ნაპირს აკვრიდა და წყალზე ნელა ირწეოდა ჯავშანკატარლა № 333. ნაპირის გასწვრივ ჩამწკრივებულ გოლიათ ცაცხვებს (ხელოვნურად გაშენებული გეგონებოდა) ვევბა გაბარჯღული ტოტები მდინარეზე გადმოეშვირათ და კატარლა ისე იყო მათ ქვეშ შენილბული, ჩიტის გაფრენის სიმაღლიდან ყველაზე მახვილი თვალიც კი ვერ შენიშვნავდა.

ოდნავ ზემოთ, დინჯების აყოლებით, ასევე ცაცხვებისა 7

და მუხების მზრუნველ ტოტებს კიდევ სამი ჯავშანკატარლა შეფარებოდა. ისინი ბრატისლავაში შეჩერებულ ძირითად ძალებს ელოდებოდნენ, რათა შემდეგ ვენისკენ აპყოლოდნენ მდინარეს.

№ 333 ჯავშანკატარლის მთელ ეკიპაჟს, მესიგნალისა და კაპიტნის თანაშემწის გამოკლებით (რომელიც ჯიხურში იჯდა და რადისტის ყურსასმენები ეკეთა), ერთი დიდი ცაცხვის ქვეშ მოეყარა თავი. ზოგნი მიწაში სანახევროდ ჩაფლულ ვეება ხავსიან ლოდებზე ისხდნენ, სხვებს სკამებად რიყიდან ამოზიდული ქვები და ზედ დაფენილი ბუშლატები გამოეყუნებინათ.

— დღის წესრიგში, ამხანაგებო, ერთადერთი საკითხია, — კატარლის კომკავშირელთა თავკაცს, მეორე თანრიგის ზემდევ ვალოდია აგაფონოვს ხმის აწევა არ დასჭირებია — მისმა ბარიტონმა თავისუფლად დაფარა დუნაის დუდუნიც და შორეული კანონადის ყრუ გამოძახილიც. — უნდა განვიხილოთ ჩვენი მებრძოლი ამხანაგის, № 333 ჯავშანკატარლის იუნგის, ევგენი ივანეს ძე ტოპრაკაშვილის განცხადება მისი კომკავშირში მიღების თაობაზე.

უენია რამაზ ოდიკაძესა და ვალოდია მიშინს შორის იდგა. როცა აგაფონოვმა მისი სახელი ახსენა, ოდნავ გაფიტრდა და ნაბიჯი წინ წადგა. მკერდზე ყველა თავისი ორდენი და მედალი ეკეთა, ხოლო დუნაის ალერსიანი ნიავი ყელზე ლამაზად გამონასკვულ ალისფერ პიონერულ ყელსახვევს უფრიალებდა.

— ამხანაგ ტოპრაკაშვილს ყველა თქვენგანი იცნობს, — განაგრძო აგაფონოვმა. — იგი მემკვიდრეობით მეზღვაური და მამაცი მეომარია, საზრიანი და დისციპლინიანი. დაჯილდობულია წითელი დროშისა და სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენებით, აგრეთვე რამდენიმე მედლით. მიღებული აქვს სარდლობის არაერთი მადლობა. ვფიქრობ, თუ მის თხოვნას დავაქმაყოფილებთ, იგი ისევე არ შეარცხვენს კომკავშირელის სახელს, როგორც აქამდე პიონერის სახელი არ შეურცხნია.

— სწორია!  
— მივიღოთ!  
— დაიმსახურა!

— მომეცით სიტყვა! — ხელი ასწია კატარლის მეთაურმა, უფროსმა ლეიტენანტმა სუშჩენკომ.

— გისმერთ, ეფიმ ალექსანდროვიჩ.


ცაცხქვეშ ჩურჩულიც მიწყდა.

— აქ რამდენიმე მატროსი შედარებით ახალი კაცია, — თქვა მეთაურმა. — ამიტომ ურიკო არ იქნება, თუ იუნგას საბრძოლო ბიოგრაფიიდან ზოგ რამეს გავიხსენებთ. — საათზე დაიხედა. — დრო კიდევ გვაძვს. დიას... ეს იყო იუგოსლავიაში, ბელგრადის ახლოს, ქალაქ სმედერევოსთან 1944 წლის 15 ოქტომბერს...

თა ფიგურები. ველის მიღმა სოფელი იწყებოდა. მარჯვენა მხრიდან შემოვლა შეუძლებელი იყო რომელი რობში ყველგანმავალიც ვერ გაივლიდა, მაგრამ რე კი მტერს მიღმიერობით ჰქონდა გამოთვლილი კატარლიდან ჩანდა, რომ არსებობდა ერთადერთი შემოვლითი გზა — დუნაის ნაპირ-ნაპირ, რიყის გასწვრივ. გზა შორი იყო, მაგრამ მშვიდობიანი.

სუშჩენკომ იუნგა აფრინა.

უენიას ათიოდე წუთი დასჭირდა დესანტთან მისარბენად. კატარლის მეთაური ბინოკლით უთვალთვალებდა. მაგრამ მოხდა მოულოდნებლი რამ: უკანდახევისა და შემოვლითი მანევრის დაწყების ნაცვლად დესანტის ორმა მებრძოლმა მაკრატლით გაჭრა მავთულხლართი. სუშჩენკოს სუნთქვა შეერა, იგი მიხვდა, რომ ნაღმსაძებნის უქონლობის გამო დესანტი იძულებული იყო გაერისკა და ორმელიმე გამოცდილი ჯარისკაცის თვალსა და ინტუიციას მინდობოდა. ის ჯარისკაცი წამოდგა კიდეც ფეხზე, მაგრამ უცებ უნია ტოპრაკაშვილი წამოიჭრა, რაღაც დაიყვირა (მერე გამოირკვა, რაც დაიყვირა — „ამხანაგებო, მომყევითო!“) და ველზე გაქანდა. მოხდა სასწაული — წეროებივით გამწკრივებულმა, იუნგის კვალში ჩამდგარმა მედესანტებმა სოფლამდე ისე მიი-



...მავთულხლართებთან დესანტი ჩაწეა — წინ ფართოდ გადაშლილიყო დანაღმული ველი. სუშჩენკოს ბინოკლში კარგად ჩანდა მიწას გაკრულ საზღვაო ქვეით-

რბინეს. ფეხი არაფერზე წამოუკრავთ... ხოლო მეორე დღეს შესანგრევებმა იმ საშინელ ველზე ოთხასამდე ნაღმი გააუვნებლეს...

— თუ შეიძლება, მეც ვიტყვი ორიოდე სიტყვას, — წამოდგა რამაზ ლდიკაძე. — ამანაგ ტოპრაკაშვილს დიდი ხანია ვიცნობ და შემიძლია ბევრი რამ გიამბოთ მასზე. მაგრამ მე მხოლოდ ერთ ეპიზოდზე შევჩერდები... ეს მოხდა 1944 წლის 10 მაისს სევასტოპოლისა, სტრელეცის ყურეში...

...— წინ, ფორშტევენთან. ნაღმია! მანძილი — ოცი მეტრი!

— საჭე — მარცხნივ! — გაისმა მეგაფონში.

შუალამეა. ცა ფთილა ღრუბლებითაა აჭრელებული, მთვარე ხან ამოეფარება ღრუბლებს, ხანაც გამოანათებს.

— ნაღმი მარჯვენა ქიმთანაა, ორმოცდახუთი გრადუსი, მანძილი — ხუთი მეტრი!

სამანქანო ტელეგრაფი სასწრაფოდ გადასცემს მეთაურის ბრძანებას: მარცხენა ძრავა — „სრული წინსვლა“, მარჯვენა — „სრული უკუსვლა“.

— ნაღმი ჯიხურთანაა! მანძილი — სამი მეტრი!

— ნელი სვლა! ასე გეჭიროთ!

ცოტა ხნის შემდეგ:

— ნაღმი ბოგურასთანაა! მანძილი — ერთნახევარი მეტრი!

ეკიპაჟმა სუნთქვა შეიკრა — სადაცაა, ნაღმი კატარის კორპუსს შეეჯახება და გათავდა, „ვაის“ დაძახებასაც ვეღარ მოასწრებ.

მაგრამ:

— ნაღმი კიჩოსთანაა! მანძილი — სამი მეტრი!

კიდევ ცოტა ხნის შემდეგ:

— ნაღმი კიჩოსთანაა! მანძილი — ათი მეტრი!

და მაშინვე:

— განგაში! ქიმს იქით ადამიანია!..

ეს იყო იუნგა ტოპრაკაშვილი. იგი უჩუმრად ჩამხტარიყო წყალში, როცა ნაღმი სულ ახლოს მოცურდა კატარლასთან, და ხელებით ფრთხილად შევჩერებინა მისი მოძრაობა კორპუსისაკენ. ბიჭის ძალა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ნაღმს მშვიდობიანად ჩაევლო კატარლის ქიმის გასწვრივ...

— გუშინწინდელი ისტორიაც ხომ არ გაგვეხსენებინა? — ეშმაკერად ჩაიღიმა ბოცმანმა ბორის პლატონოვმა...

კრების მონაწილეებში სიცილმა ჩამოიარა...

ჯავშანკატარლას პონტონების ტივი პქონდა გამობმული. ის-ის იყო, მარცხენა ნაპირს მოშორდნენ და ირიბად ასჭრეს მდინარე. ტივზე ჩუმად ისხდნენ ავტომატ-მომარჯვებული საზღვაო ქვეითები. მათ შორის რამდენიმე მედდაც იყო.

შუა მდინარეში შევიდნენ თუ არა, „პაინკელების“

დმუილი მოისმა ექვსნი იყვნენ. ჩვენმა საზენიტოზემა სროლა აუტეზეს, მაგრამ მტერმა მაინც შეძლო თორმეტი ბომბის ჩამოყრა შიგ შუა მდინარეში. ერთი მათგანი № 333 ჯავშანკატარლაზე გამობმული ტივის ახლოს გასკდა და პონტონები ყირაზე დააყენა. მებრძოლთაგან ზოგმა თვითონ უშველა თავს, სხვებს კიდევ სხვა ბუქსირები მიეხმარნენ. უენია კიჩოზე იდგა, მარჯვენა ქიმთან, როცა დაინახა, რომ კატარლასთან ორი მედდა მოცურდა. საწყლები ქიმს შემოეპოტინენ, მაგრამ დალლილები იყვნენ და ვერ შემოსწვდნენ (არადა, ჯავშანკატარლის წყალშივი სულ სამოციოდე სანტიმეტრია!) უენია არ დაბნეულა, გემბანზე პირქვე გაწვა, ქიმს იქით გადაიწია და მედდებს თმაში წაავლო ხელი. მერე ის იყო, აგაფონოვი და მესიგნალე ვადიმ შაკიტო მიეშველნენ.

სიცივისაგან აკანკალებული და დაქანცული ქალიშვილები კუბრიში ჩაიყვანეს, ერთმა მეზღვაურმა ბუშლატი გაიხადა და გაუწოდა, მეორემ — ზოლიანი მაისური, მესამეს სათადარიგო შარვალი აღმოაჩნდა. როცა ქალიშვილები გაშრნენ და შეთბნენ, უენიას ჩააცივდნენ (რა თქმა უნდა, ხუმრობით) — შენი გადრჩნილები ვართ და წესი ასეთია — გინდა თუ არა, ერთ-ერთი ჩვენგანი ცოლად უნდა შეირთოო.

სახეზე ცეცხლშენთებულმა უენიამ გაქცევით უშველა თავს...

— ვფიქრობ, საკითხი ნათელია, — დაასკვნა აგაფონოვმა. — წინადადება შემომაქვს, ვუყაროთ კენჭი...

— ერთი წუთით, — შეაწყვეტინა სუშენენომ. — ერთი შეკითხვა მაქვს. ტოპრაკაშვილთან კი არა, თქვენთან, ამხანაგო მდივანო.

— გისმენთ, ეფიმ ალექსანდროვიჩ! — აგაფონოვს შეეტყო, რომ ამ შეყვინებას არ მოელოდა.

— გინ აძლევს რეკომენდაციას ამხანაგ ტოპრაკაშვილს? კრების წევრებს შორის ჩურჩული დაირჩა.

— იცით, რა, ეფიმ ალექსანდროვიჩ, მე მივიჩნიე, რომ რეკომენდაციების შეგროვების დრო არ იყო. ვფიქრობ, თამამად შეიძლება აქ გამოსული ამხანაგები რეკომენდატორებად ჩავთვალოთ.

— მე კი სხვა აზრისა ვარ! — მტკიცედ თქვა მეთაურმა.

— ბრძანეთ...

— წინადადება შემომაქვს, ოქმში ასე ჩავწეროთ: „პიონერ ევგენი“ ივანეს ძე ტოპრაკაშვილს კომაგეშირის რიგებში შესავლელად რეკომენდაციას აძლევს № 333 ჯავშანკატარლის მთელი ეკიპაჟი“. განა სწორი არ იქნება?

— სწორედ ასეა, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო! — სახე გაუბრწყინდა მდივანს.

ყველამ შევებით ამოისუნთქა.

ვალოდია აგაფონოვმა ბუშლატის ლაცქანზე მიქრული კომაგეშირის სამკერდე ნიშანი შეიხსნა და უენიას გაუკეთა. მერე ყელსახვევი შესნა, ფაქიზად დაკეცა და უბეში ჩაუდო.



# ქართველი

## დამოუკიცებელი

ორთაჭალაში, კრწანისის ქუჩის დასაწყისშივე, იქ, სადაც პატარა აღმართი ოდნავ შესამჩნევად გაივაკებს, სამსართულიანი შენობა დგას. მისი ფასადი ახალ მრავალსართულიან სახლებს გასცერის. შუაში პატარა სამანქანო გზა ჩაუდის. ამ სამსართულიან შენობაში საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკაა, მაღალ სახლებში კი იქაურ მუშათა ოჯახები ცხოვრობენ.

ფაბრიკაში მზადდება თოთხმეტი

— შეინახე, ძმაო... მოჰლი ომი გამოიარა შენთან ერთად, პატივის ღირსია! შეინახე...

### ეპილოგი

უენიასათვის ომი ვენაში დამთავრდა. მაშინ იგი თოთხმეტნახევარი წლისა იყო და მთაერობის თერთმეტი ჯილდო პქნონდა დამსახურებული (თუმცა რამდენიმე მედალმა თავისი პატრონი მოგვიანებით მოძებნა; ეს ჯილდოებია: „ბელგრადის გათავისუფლებისათვის“, „ბუდაპეშტის აღებისათვის“, „ვენის აღებისათვის“, „საბრძოლო დამსახურებისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, იუგოსლავიური მედალი „მამაცობისათვის“...).

წლომდე ბაგშვების ყველა ზომისა და თოთხმის ყველა დასახელების ტან-საცმელი, ნაწარმი უმეტესწილად ხარისხის ნიშნით გამოდის.

ფაბრიკა ლაბორატორიით იწყება. ხუთი მხატვარი ბაგშვებისათვის ტანსაცმლის ახალ მოდელებს ქმნის, ოთხი მკერავი კი პირველ ნიმუშებს კერავს.

ერთი საქსოვი დაზგაც უდგათ ლაბორატორიაში, რადგან საქსოვი საამჭრო შორსა — ვარკეთილში, ხოლო ახალი ნიმუშების შექმნის დროს უთუოდ უნდა გაითვალისწინონ, რამდენად შეეფერება ხლართი ქსოვილს.

როცა სანიმუშო ტანსაცმელი მზადაა, მას საფაბრიკო სამხატვრო საბჭო ამოწმებს. მოწონებული ნიმუშები საბოლოო დასტურისათვის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამხატვრო საბჭოს ეგზავნება, საიდანაც კვლავ ლაბორატორიას უბრუნდება.

აქ ისინი სპეციალურ სტენდებზე გამოფენილი: ლამაზი, ლურჯ-უზომული ზოლებიანი სარაფნები, ნაკრების გადასახლები, მჭიდროდ ნაქსოვი სპორტული კოსტიუმები, ჯემსრები და შარვლები. მხატვარი კონსტრუქტორი ამზადებს მით საკონტროლო თარგებს და საგამომჭრელო საამჭროში გზავნის. ამ თარგების მიხედვით მუყაოს სამუშაო თარგებს კრიან.

საგამომჭრელო საამჭროში განიერ და გრძელ მაგიდებზე ნაირფერი ქსოვილებია გადაფენილი. მხაზეელები მუყაოს თარგებს ზემოდან აღებენ ქსოვილებს და ცარცით ანაბეჭდები გამოკვავთ, მერე ხელის მანქანით გამოზომილ ნაჭრებად გადაჭრიან და ლენტურ მანქანასთან მიიტანენ, რომელიც თითოეულს საბოლოო ფორმას აძლევს. ასეთნაირად დაკომპლექტებული მასალა სამკერვალო საამჭროში გადააქვთ.

აქ ექვსი სახეობის ასამდე მანქანა

მე ვთქვი, უენიასათვის ომი ვენაში დამთავრდა-მეოქი... მაგრამ არა, ევგენი ივანეს ძე ტოპრაკაშვილისათვის ომი არ დამთავრებულა, იგი მუდამი იარსებებს მის მებსიერებაში საფეოქელგახვრეტილი მამის, მზერაჩამერალი დედის, დალუბული ამხანაგების, დანრგეული სოფლებისა და გავერანებული ქალაქების სახით...

იგი ვერ დაივიწყებს ომს, რადგან, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მეტად აწუხებს სადღაც, მარჯვენა ფილტვის მიდამოებში გაჩხერილი გერმანული ჰურვის ნამსხვრევი...

ვერ დაივიწყებს — მან ხომ ჯერ კიდევ ბავშვმა, საკუთარი სისხლი გაიღო გამარჯვებისა და მშვიდობისათვის.





დგას, როგორც სამამულო, ისე უცხოური. ყოველდღიურად 2 200 ცალი ტანსაცმელი იქტერება. სხვადა-სხვა კლასის მანქანა სხვადასხვა ოპერაციას ასრულებს: ზოგი კერავს, ზოგი უხვევს, ზოგი საღრმელებს ამზა-დებს და ღილებს ამაგრებს. ორნერ-სიანი მანქანებიც დგას, რომელთაც თანაბრად გააჭვთ წყვილი გვირისტი ქსოვილშე.

სამკერვალოში, შეიძლება ითქვას, მარტო ქალები მუშაობენ. მანქანებს უსხედან და ერთმანეთის წამოწყებულ საქმეს აგრძელებენ, ზოგიერთი ახალგაზრდაა. ახლახან რომ დაუმთავრებიათ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. ზოგიც პირდაპირ საშუალო სკოლიდან მოსულა აქ. მაგრამ უშეტესად ასაკოვანი ქალები არიან. მათ შორის თავდადებული შრომით, ახალგაზრდობის სიყვარულითა და მათზე ზრუნვით განსაკუთრებით უუცუნა კელაპტრიშვილი გამოიჩინა.

ოცი წელია. უუცუნა კელაპტრიშვილი საბაჟშვილ ტრიუმტაქს კერავს. ფაბრიკაში მეზობელმა ქალმა მოიყვანა. კეუზაში დაუჭდა აქ მუშაობა. მით უმეტეს. კერვა ეხერხებოდა. შინ პატარა გოგო-ბიჭები ჰყავდა: შალვა. ნანა და გია, თითქოს იმათი ტანსაცმელი უნდა ეკრა, თითქოს იმათთვის უნდა ეზრუნა...

...სამქროში საკერავი მანქანების რამდენიმე მწერივია. მარჯვნიდან პირველი მწერივის ბოლოს უდგას სამუშაო მაგიდა უუცუნს. ნათელი, მშვიდი და დინიში სახე აქვს. შავი ფერის ჩვეულებრივი სამუშაო ხალათი აცია.

საქმის ერთგულია, დროს უფრთხილდება. სამქროში სალაპარაკოდ ვერ მოიცლის. თუ სტუმარი ეწვია, საკერავებით დატვირთულ ხის ფართო სკამს გაუთავისუფლებს, გვერდით დიდ დიდის განვითარებაში და კერვას განაგრძოს. სხვანარიად შეუძლებელია: იგი ხომ მრავალთაგან: ერთ ოპერაციას ასრულებს — არშიებს ავლებს ტანსაცმელს და გვერდებს უკერავს; მისი ხელიდან გამოსულ ტანსაცმელს კი სხვები ელოდებიან, რომ ნაშიძურები ამოუხვიონ, სახელოები და საყვალები მიაკერონ, სილილები და მამ-

ზაღონ, ღილები მიამაგრონ და ასე თანდათხმობით...

მაგიდიდან მაგიდაზე მოგზაურობენ პატარა ფერად-ფერადი კაბები, სარაონები, პიუამოები, შარვლები, მაისურები...

ტატობა განსაკუთრებით იქმნება გამოადგებათ ხოლმე, რტყელში მომდევნობის მიზეზით ამა თუ იმ უბანზე საქმე ბრკოლდება — მანქანებს ჩამოუვლის და მონაცვლეობით ხან კერავს. ხან გვირისტს ავლებს

უუცუნა ახალგაზრდობის დამრიგებელიცა. ოცი წლის განმავლობაში ბევრს შეუსწავლია მისგან უზალო კერვა.

საბაჟშვილ ტრიუმტაჟის ფაბრიკა 104-ე და 74-ე საშუალო სკოლების შეფა. ყოველ პირველ სექტემბერს ღირებულის წარმომადგენლები და მოწინავე მუშების ჯგუფი ამ სკოლებს ესტუმრებიან და სასწავლო წლის დაწყებას ულოცავენ. მოსწავლეებსაც ყოველდღე ნახავთ ფაბრიკაში, სამკერვალო სამქროში, იქ. სადაც კელაპტრიშვილი მუშაობს, გოგონებს კერვის გაკვეთილები უტარდებათ. ისინი ჯგუფებად არიან დანაშილებულნი და თითოეულს კვირაში ერთი დღე ხედება. ვათი



სამუშაო დრო იწურება. ერთიმეორის მიყოლებით ჩუმდებან მანქანები. შეკერილი ტანსაცმელი ყუთებში ლაგდება. ყუთები ურიკებით გააქვთ, მუშები ტრიუმტაჟის სამქროს. მხოლოდ რამდენიმე ქალს ზოგი რამ ვერ მოუსწრია და სხვა მანქანასთან მიაქვს საკერავი, ამ დღეს დაწყებული საქმე სახვალიოდ რომ არ დაურჩეს.

უუცუნა კელაპტრიშვილმა ყველა მანქანის საიდუმლო იცის. დასვერების დღეებშიც ხშირად ნახავთ სამქროში, გძმალებით მუშაობს და უკვე სხვებისაგან დამოუკიდებლად კერავს. ჯერ ერთ მანქანასთანაა, მერე — შეორესთან, მესამესთან, ვიდრე ტანსაცმელს მთლიანად არ მომსავრებს. უუცუნს მრავალმხრივი ის-

მანქანებისათვის ცალკე კუთხეა გამოყოფილი. მოსწავლეები უმეტესად გადანარჩენი ქსოვილებისაგან ამზადებენ ბავშვთა წინდებს, ფეხსაცმლის თბილ საფენებს, პატარ-პატარა სხვადასხვა — ფერის ქსოვილებს ერთმანეთს უხამებენ და ჯემბრეებსა და ბოლოკაბებსაც კერავენ.

მოსწავლეები ზაფხულის შრომით სემესტრს აქ ატარებენ. მაშინ მათ ანაზღაურებაც ეძლევათ.

ამ ურთიერთობაში ნაყოფიც გამოიღო. გოგონები არა მარტო კერავს ეუფლებიან, იყვარებენ კიდევაც საქმეს. წელს ამ სკოლებიდან, საშუალო განათლების მიღების შემდეგ, სამი გოგონა მოვიდა სამუშაოდ ფაბრიკაში. ასე იყო წინა წლებშიაც. ი. ამ მოსწავლეთა მისწავლებელი და

დამრიგებელია უცუუნა კელაპტრი-შვილი.

გულისხმიერებისა და დაუზარებლობის წყალობით მან ბევრი მეგობარი შეიძინა უცუუნა კელაპტრიშვილი ერთი იმათგანია, მან რომ ხელობა შეასწავლა და საქმე შეაყვარა.


ფაბრიკაში მშრომელთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების შემცირებელი კომისიის წევრიცაა უცუუნა კელაპტრიშვილი, რაიონულა საბჭოს დეპუტატიც გახლავთ. შინ სათუთად ინახეს სოციალისტურ შეჯიბრებებში გამარჯვებულის მედლებს, რომლებსაც ყოველწლიურად ღებულობს.

დედასა და შვილებს შორის ჩუმი, იბილი დამოკიდებულებაა. შვილები ჯერ კიდევ მოსწავლეობის დროიდან ცილინდრნენ, ისეთი ნიშანი მიეღოთ, დედა გახხარებინათ. ახლაც არაფრით ატკენენ გულს. შათო სახლიდან ხმაბაღალი ლაპარაკის ხმა არ გამოსულა. შვილები აღრევე შეაჩვია შრომას. პატარაობიდანვე აკეთებინებდა, ვისაც რისი გაკეთება შეეძლო. ჩეულებად ექცათ ერთმანეთზე ზრუნვა. შვილები დედის მაგალითით დაიზარდნენ, შრომაშიც დაუზარელნი გამოვიდნენ.

კელაპტრიშვილების ოჯახს სოფელი ქართლში აქვთ და მამაპატეულ კერასაც პატრიონობენ. აღრე გაზაფხულიდან გვიან შემოღომამდე ვენახსა და ბოსტნეს უვლიან. ამ საქმეებისათვის კვირა დღეები გამოუყვათ. საგარეუბნო მატარებელს დილაუთენია მისკვებიან კავითისევში და გვიან შელამებულზე უკან ბრუნდებიან. ზაფხულს კი სულ სოფელში ატარებენ.

უცუუნა კელაპტრიშვილს მთელი სიცოცხლე მუხლიაუხრელ შრომაში გაუტარებია. დაღლილიც კი ბევრჯერ ისევ საქმეს მისაბალებია შინ თუ გარეთ, კველა ადამიანური შოვალეობისათვის თავისი წილი მიუზღავს... მას ღრმად აქვს შეგნებული, რომ ღირსეულია არა მარტო ის, თუ არა ქმნი, არამედ ისიც — როგორ ქმნი. უპირველესად კი უთოოდ უნდა გიყვარდეს ის საქმე, რასაც აკეთებ.

**ნინო დეკანოვა**



## როდიონ ქრისტიანი

გარდაცვალა ნორჩი თაობის გულითადი მეგობარი და სულიერი აღმზრდელი, ქართული საყმარვის ლატერატურის ერთერთი მამამთავარი როდიონ ქრისტიანი.

ღვაწლმონილმა მწერალმა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ბევრი რამ ნახა და განიცადა: მონაწილეობდა პირველ იმპერიალისტურ იმში, სამოქალაქო მოსი წლებში წითელი არმიის რიგებში იბრძოდა რევოლუციის მტრების — კორნილოვისა და დენიკინის წინააღმდეგ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აქტიურად მოვაწეობდა კულტურისა და მწერლობის განვითარებისათვის. ნანახი და განცდილი შთამბეჭდიავად, მაღალმხატვრულად აისახა მის მოთხოვნებში, პიესებში...

ეჭვს ათეულ წელზე მეტი წინის განმავლობაში როდიონ ქორქიას მხატვრული სიტყვა დაუღალავად ეშვასურებოდა მშობელ ერს, მოზარდი თაობის მაღალი იდეალებით აღზრდის საქმეს. ჯერ კიდევ

პირველმა წიგნმა „სამართლებულებავი“ მწერალს დამსახურებულად მოუპოვა პატარების გულის მესაიდუმლის სახელი.

შემდგომში შექმნილი საბავშვო ნაწარმოებები „ბულიონის პაპიროს“, „ოქსანა“, „შიშა პოპოვი“, „ოთხი ზღაპარი“, „სამშობლომ გამომგზავნა“, „შვილი ნატა“, „მწვანე კარავი“, „თეთრი ხატა“, „ყელსახვევი“, „გულადი პიონერი“ და სხვა მოთხოვნებით უ ზღაპრები მკითხველებში ნერგავდა და კვლავაც ნერგავს სამშობლოს სიყვარულის, ჟუმანიზმის, ინტერნაციონალიზმის უკათილობილებებს.

მწერლის უკვდავსაყოფად მარტო „მარილის აკვანიც“ იკმარებდა. ამ გულისშემძრელ ქმნილებაში დიდი მხატვრული სილიორით არის გაცოცხლებული სამოქალაქო მოსი ქარცეცხლიანი დღეები, სოციალისტური სამშობლოსფეროს ყმაწვილების უმაგალითო თავდადება.

სიცოცხლის ბოლომდე განუყრელი მეგობრობა აკავშირებდა როდიონ ქორქიას უურნალ „პიონერთან“, რომლის პასუხისმგებელი მდივანი, ხოლო შემდეგ — სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო ერთ ხანს. იგი უკველვის დაუზარებლად იღვწოდა უურნალის ყოველმხრივ სრულყოფისათვის, ბრძნული რჩევებით ძირიფას სამსახურს უწევდა რედაქციის შემოქმედებით კოლეგიოს. ხანდაზმულიც კი მუდამ ჭაბუკური ხალისით ხვდებოდა ნორჩ მკიონხელებს რედაქციაში, ხელობაში, პიონერთა ბანაკებში...

წავიდა ჩერგან ჭეშმარიტი შამულიშვილი, ქართული ნაბავშვო მწერლობის მოჭირნახულე, რომლის მხატვრული შემკვიდრეობა კვლავაც არაერთი თაობის სულ და გულს დაპურებს.

**შურელ კიონერის ჩადაციანია,**  
სარედაქციო კოლეგია.

# ପିଲାତ୍ତିର ଶିଳ୍ପି



473-13500 50350160160

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ ପରିଚୟ

ગુરુ પદ્મ મંત્ર

გამოცდების ბოლო დღეა. დამთავრდება გამოცდა და სოფლისაკენ გავშევ. ამ ზამთარში მხოლოდ ორჯერ ვიყავი სახლში. იმოდენა მოთვაა, ვინ მივიღოდა სოჭლამდე.

აუ, იმ დღეს რას თოვდა! ჩვენები შეშინდნენ:

— ამაღლაშვილი ითოვოს, ხელალ დილით  
როგორლა წახვალ ინტერნატში?

= ନ୍ଯୂଆଇଲ୍‌ଗ୍ରେଟ, ଶ୍ରୀମତୀ, ଏତ୍ଯବନ୍ଦୀ, ଫିଲ୍ ଓ ତାଙ୍କଲ୍ସ

დადებს! — მითხვა მამაჩემმა და მეც, მეტო  
რა გზა მქონდა, წამოვედი...  
გამოცდიდან გამოსული ნინიქას ვეცი:

— აბა, ჩქარა, წავიდეთ! — ნინიკა ჩემი

სოფლიდან არის, მეზობლები ვართ. ჩვენი  
სოფლიდან ორნი ვართ ინტერნატში, მეტი  
ბავშვიც არ არის სოფელში.

— ბავშვებს არ დავუცადოთ? — აწრიალ-  
ება ნინიკა.

რას ამბობ, გოგო, გაგვასწრებს საბის  
ავტობუსი.

- ფეხით წავიდეთ!
- გადაირიე? მე წავალ! — არადა, მე რომ  
სოფულში მარტო მივიდე, მოქმედავს დედა-  
შინი, მე მიყავს ჩაბარებული.

— უსინდისო! — ბუზლუნებს ნინი ა.

ଶ୍ରୀ କୃଷ୍ଣ ମିଶନ୍ଦିଗ୍ରାମ, ପ୍ରାଚୀ ନିନ୍ଦାକା ମନମ୍ଭାଗେ,  
ପରାଦୟୋଦୀର ଏହି ପାତ୍ରରେ ମେଘତିକାରୀ! ମାଗାର  
ପ୍ରସାରର ଅଧିକାରୀ, ମେଘ କି ଏହା! ପରାନ୍ତେବୁଦ୍ଧ  
ଲାକମିଳ ସାଦକ୍ଷେତ୍ର ତାପମ୍ବାଜିଲାମାରୁ ରନ୍ଧର  
କାର୍ଯ୍ୟକ୍ରମାବଳୀରୁ ରନ୍ଧର ଆରକ୍ଷିକେ, ଅଭ୍ୟାସିମିଳ  
ମେଘକାରୀ।

— ამ კნაჭი გოგომ რავა უნდა გაჯობოს,  
ბიჭო!

— ებ, დედა, ფრიადოსანია.

— მაგას ვამბობ მეც. ან სიმაღლე ჰქონდეს, ან სისქე.

— სიმაღლე და სისქე რად უნდა, დედა, ჩტავლას?

— აბა რა უნდა, ბიჭო, მარტო თამაში?...  
.... ფეხი გამოადგი, გოგო, კოლმეურნე-

ობის მახუანა მოდის

მანქანის მდლოლმა დაგვინახა, გააჩერა.  
ნინიკას ხელი ვტაცე და მანქანაზე შევაგ-  
დე. მე შეი პეტყო, დაგამძიმებს. ერთი უ-  
თიც არ იქნება. ძლიერ მივუსწროთ საბის  
ავტომბუსს, შევვარდეთ.

- გამარჯობაა! - მივესალმე კველას.
- გამარჯვება ნუ მოგაპლოს ომერთმა, ბიძაა; დაჯეტი, შეკილო. - მოხუცმა ჩაიჩინჩა და ადგილი დაუთმო ნინიკას. მე უკან წავედი, დავდექი, რ მიშავს ჩემს სახლამდე ნახვარი საათის გზაზ არ არის.

— როგორი კარგი თვალები აქვს ამ ბავშვები. — ჩემს წინ მჯდომარე ქალმა ნინიკა-ზე მიუთითა მეტობელს. კერ ვიცანი. ალბათ, საბოლოო — ნამთვითობ ჩოლის თარი.

ଅରାଶୁଦ୍ଧ ଶେମିକେନ୍ଦ୍ରାଙ୍କ ନିରିକ୍ଷାର ତଥାଲ୍ପଦି-  
ଶାତମୀଳିକେ ହେବାରେ ପାଇବାର ପାଇବାର ପାଇବାର ପାଇବାର  
— ମନିଧା, ବୀଜିଶ୍ଵର, ଶେନ୍ଟ ଡାକ୍‌ଖେପୀ! — ମିମିକିନା  
ଅଫ୍ଗିଣୀ ତଥାଙ୍କ ଗ୍ରେନ୍ଡିକ ନିରିକ୍ଷାରେ ଶେବୁଳ୍ଲାଙ୍ଗା-  
ର୍କେ କାଲ୍ଯୁକୋର ନାତ୍ରେବାମି ଗାମିବାରେନ୍ଦ୍ରା ଡା ଡାକ୍-  
ଖେପୀ ନିରିକ୍ଷାର ତଥାଲ୍ପଦିଶୀ ଶେବାର୍କିରଣ୍ଡା ଏଇ,  
ତୁରମ୍ଭ ରା ଯୁଗରୀଳ ମୁଖ୍ୟିଲ୍ଲା ଶେବା!

- რას მიყურებ? - გაიკვირვა ნინიკამ.
- ცხვირშე რალავ გაცხია!..

— ... გაუმარჯოს ჩემს სოფელი! — დავიძახე  
და ბიძინას წყაროსთან ჩამოვედი. ბიძინას  
წყარო ხემრობა არ გეგონოთ, ძველისძველი  
ნაშენა.

გაიხარა დედაჩემბა, გაიხარა ნინიკას დედამაც. ამ დროს სოფლეში საქმე ბევრი არაურია. ყანები ყამოროდებულია, ვენახი - გათოხნილი. შეწმვლა სჭირდება, შეწმვლაც მე არ მენდობა მამჩემი, ვენახი პამილორი კი არ არის! მე და ნინიკას საქონელი დაგრჩია მოსავლელი. დედაჩემბი სოფლის ფოსტალინინა. როცა სახლში ვარ, მის მოვალეობას ვასრულდება, სამ დღეში ერთხელ სარგებში ავალ, გაზიარება და წერილებს წამოვიდება, ახლა კი ყოველ დღილით ავდივარ. კოლეგეურნეობის თავჯდომარეს დედაჩემბისთვის ვეღლოსინებული უყოდია. დედაჩემბი ვერ ვგუება და არის ვეღლოსინებული კედელზე ძიყუდებული. იცოცხლე, მე ვული ვაჯერე. რა ჯობს ვეღლოსინებით სარგებში აქრიალებას. დილილთ ადრე ავირბენ, ფოსტას ჩამოვიტან, მერე მე და ნინიკა საქონელს



კორაზე წაგასხაშო. ველოსიპედით სიარულით გულს ვიკერტბო, შერე ნინიკა კაცლის ძირში დაჯდება, კითხვას დაიწყებს, კითხულობს და საქონელსაც ყურადღებას აქვთ. გორაზე საქონელის მოდგრმას დიდი საქმეა უნდა. გულდანმდობით მოვენ. ერთი ჩვენი მოზერია წერია. თვალი სულ განისაკენ უჭირავს.

— მიისარები, მე წუწია? — მივაყვირებ და გაინამება.

სოფელი ჩვენს მეტი არავინაა. როდის დამთვარდება გამოცდები! გაივსება მაშინ სოფელი. ნინიკა კაცლის ჩრდილში ზის და წიგნს კითხულობს. დავიღალე, ველოსიპედი კაცლის ხეზე მივაყუდე.

— რას კითხულობ?

— „უქარქაშო ხალებს“. კარგი წიგნია, ძია ზურაბმა შათხოვა.

სოფელში შეხვალ თუ არა, პირველი სახლი ძია ზურაბისაა. ძია ზურაბი დეველი შეზღვაურია, მთელი ცხოვრება ლენინგრადში გაატარა, იქვე ებრძოდა ფაშისტებს. ძია ზურაბს ბევრი წიგნი აქვს, ნინიკა მისი ხშირი სტუმარია. კარგი ამბების მოყოლაც იცის. როცა გუნდაზეა.

ძია ზურაბის ეზო აქვდან მთლიანად ჩანს. ახლაც კოპიტის ძირში ზის და კითხულობს.

— აუ, როდის ჩამოვლენ ჩვენი ბიჭები!

ნინიკა კითხვას თავს ანებებს.

— მალე ჩამოვლენ, ძია ზურაბმა თქვა, ამ შაბათ-კვირას ველოდებით.

— მართლა? — გამიხარდა, მინდორზე გავლორდო.

— ჩამოვლენ და გაივსება სახლები. ბაბუაშ თქვა, წინათ ასეთი ლოზუნგი იყო, პირი ქადაგისაკენ". ხალხმა ქალაქში ძია-შურა და დაცარიელდა სოფელი, აი, ზედა მხარე სულ დაცარიელდულია. ვინდა დარჩაშალება, ძია ზურაბი, ვალიკოსანები... წელს ვოგი მიასაც აქ გაუტარებია ზამთარი, პენიაზე გასულა. ალიოშას კარი გამოეტილია, ნიანთი, შანანასი, კარლოსი, ლევანის, უვდიტორის, გუჯასი, ბიძინასი, გუგულასი.

— ამბობს ნინიკა. — ბაბუამ თქვა, სოფელში ახალგაზრდობა თუ არ მომრავლდა, წასულია თევეენი საქმეო. მთავრობამ ხალხი სოფელით უნდა დააინტერესოს და ისე გაისხება სოფელით.

— კიდევ კარგი, ახლა ზაფხულში მაინც ჩამოდიან, წინათ ზაფხულშიც არ ჩამოდიოდნენ.

— იქნებ ახლა სოფლისაკენ ქნან პირი?

...სალამის მე და ნინიკა საქონელს სახლში მივდენით. მე ველოსიპედზე ვაჯდები და ნინიკას ვუძიხო.

— შემომიჯები, გოგო! — ნინიკა შემომიჯდა, წელზე ხელი მომხვია. საქონელს მივუვებით.

ნინიკას დედას კოლმეურნეობის აბრეშუმის ჭია უვია, — მეაბრეშუმე ქალების ბრიგადას ხელმძღვანელობს. სოფელში ერთი გაუქორცნავი თუთის ხეც არ დარჩინილა. ნინიკა ჩიტივით დადის ხეზე, დატყუშდა აქვს კანჭები. როცა დედამისს თუთის ფო-

თლის საკრეფად დაყვება, მაშინ გორაზე მარტო ვარ. ქალები ფოთოლს დაკრეფენ, დამიძახებენ, ფოთლის სავსე ტომრებს ველოსიპედზე შემომიწყობენ და ნინიკას ეზოში შევგრალდები.

— წამოდი, ჭიებს გაჩვენებ!

სახლში შევედით, ოთახში ჩუმი შარიშური დგას, თითქოს ვიღაც ჩურჩულებს. ყურს ვაგდებ. არის რაღაც საინტერესო ამ შარი-შურში.

— შეხე, შეხე, რა ლამაზია! — ცხვირთან მომიტანა ნინიკამ ხელშე დასმული თეთრად გაფუნქულებული აბრეშუმის ჭია. შეგვრთი, უკან დაიწიება. — გვშინია? არ იგინინგა, სრულიად უბოროტოა, თვინიერი! — ნინიკამ თავი მაღლა ასწია, ჭია ლოყაზე დაისვა. გამარტიალა.

— რას შევრები, გოგო!

— ბუნებას მისთვის მხოლოდ სიკეთე უჩიტებია, თავისი დაცვის უნარიც კი არა ავს! — თავისას გააგრძობს ნინიკა.

...გაცოცხლდა ჩვენი სოფელი. ჩამოვიდნენ ჩვენებური გოგო-ბიძები. მთელი სალამ სიმღერა, გიტარა და ჩქარი ტაშია. სოფელს გუგუნი გაუდის. ნინიკა ყოველი სიმღერის დამწყებია და სიხარულით სულ ფრთხიალებს.

გუგას ცოლმა დისტვილი ჩამოიყვანა, აუ, რა გოგოა! ჩემი როლია. სიმღერა არ იცის, მაგრამ ცეკვას, ხო-ხო, რას ცეკვავს! მაიკა ჰევი, ჩემს ველოსიპედზეა შევარებული დაისვება წინ და დავქრით.

— შორს არსდ წავიდე! — მოსძახის დეიდამისი. სარგვეში მინდა. წამყვეს, დასკადებიან გულზე იქაური ბიჭები, მაგრამ აუიდამისი არ უშევებს


— სად მიდიხარ, ნინიკა? — ეკითხება, შამუკა.

— ჭიამ ცახზე დაიწყო გასატრიულობების რჩე გვიმრა უნდა მოვჭრა.

— ჩვენც წამოგვებით! — ტაში შემოკრა მამუკამ. ნეტა რა სასიამოვნოა ლელის პირზე გვიმრის მოჭრა! კურკამ, ფოცხვერამ, ჯიჯიბერამ, ბუტუტიმ მთარი დაუჭირეს და დელისაკენ ერვილ-ხივილით დაეშვენენ. მაიკო არ წავიდა, ჭიის ეშინია.

— მე აქ დავრჩები! — მივაყვირე მიმავლებს, ველოსიპედზე დავჯები, წინ მაიკო დავისვი.

გზაზე მამუკა გამოჩნდა, ურგზე იმოდენა გვიმრა აუკიდია, ერთი ურემი გამოვა.





... — ადგი ბიჭი, პამილორს შებიამანი მია-  
სხი, არ დაშეავდეს. — მითხრა დედამ დილით.

ავდები. ვენახის სარწყავი მანქანა ზურ-  
გზე მოვიგდე პამილორის მორწყვა დავიწყე-  
დედა ქათაბაკარს, ჯიჯილაყის და სუქანას  
კრეფი, ფხალი უნდა გააქეთოს. საღილად  
მამუკას დავუძახებ, ფხალი უყვარს. მორწყვას  
მოვრჩი, ველოსიპედი გამოვიტანე, სა-  
რგვეშიაკე მოვუცვი.

გაჟეთები ჰირველად გუჯასთან მიმაქვს.  
მაკიოს ნახვას ვესწრაფვი. კისრისტებით და-  
ვშვი დამართოზ. ყორესთან გავჩერდი.  
ეზირში გადავიხედვ. ჩიმიჩუმი არ ისმის.  
ხურმის ხეზე ქამაკი ალარ კიდია. გაუწყდათ  
ალბათ, — გავიფიქრე და ჭიშკარს ხელი წა-  
ვდავ. ჭიშკარი მავთულით მაგრად არის  
გამოვეტილი. სად წავიდნენ?

— მაიყო! — დავიძახე. ბაიძური არ ისმის.

წყაროსთან ძია ზურაბი დავინახე. თოფი  
მხარშე გაუდევს.

— სად მაბრძნდები, ძია ზურაბ?

— სიმინდმა ტარო დაიყარა, წყეული მაჩ-  
ვი მოგვეალა, თუ არ შევუტიო, ყანებს გა-  
ანადგურებს.

ველოსიპედიდან ჩამოვედი, ძია ზურაბს  
გვერდში მივდევ, მინდა ვეითხო და ვერ  
ვეძედა, მრცხვენია.

— ძია ზურაბ, გუჯასანები სად არიან? —  
ძლივს წავილულულა. ზურაბი შეჩერდა,  
შემომზედა:

— წავიდნენ, ბიძია, წავიდნენ!


— რა ძროს წახვლა? — ვთევი და გული  
ჩამწყდა.

— მასწავლებლები არიან, ოც აგვისტოს  
ადგილზე უნდა იყვნენ. არ გითხრა იმ კედ-  
რაჭა გოგომ, ისე გაფრინდა? აი, აი, რა ცუ-  
ლლუტი ყოფილა! — თავი გადაქნია ძია ზუ-  
რაბმა.

ყელში რაღაც ამომიგორდა, მივხვდი, ჩე-  
მი საქმე ცუდად იყო. ველოსიპედს მოვაჯე-  
ქი, გორისკენ გავშიე. გორა ცარიელია, ჯერ  
არავინ ამოსულა. მალე სხვებიც წავლენ და  
გორაზე მარტო მე და ნინიკა დავრჩებით.  
ველოსიპედი იქვე მივაგდე, ჩავჯერი. კურც-  
ხლები დაპარუპით მცვივა კიდევ კარგი, აქ არავინ  
არი, ვერავინ დაშინავს.

აუ, როგორ არ გამომეშვიდობა! მივდი-  
ვარო, როგორ არ მითხრა? ასე წასვლა შე-  
იძლებოდა?

— რა ადრე ამოსულხარ! — თავს წამომა-  
დგა ნინიკა.



# კიკი- ორი გვიჩვევა

(დასასრული)

ცალკე უნდა შევჩერდეთ თაფლზე.  
ძველ ინდურ წიგნში „აიურ ვედა“  
("სიცოცხლის წიგნი") ნათქვამია,  
რომ ადამიანის სიცოცხლის გახან-  
გრძლივება შეიძლება მხოლოდ  
დიეტით და ელექტირით, რომლის  
შემადგენლობაში შედის ფუტკრის  
თაფლი. ინდოელები თაფლს მიიჩ-  
ნენ როგანიზმის ერთ-ერთ ყველა-  
ზე ძლიერ გამამხნევებელ საშუა-  
ლებად.

თაფლის, როგორც მკვებავ-დრე-  
ტური პროდუქტის მიღება ნორმა-  
ლური დოზებით (დღე-ლამეში არა  
უმეტეს 200 გრ.) სასარგებლოა ყვე-  
ლა ჯანმრთელი და ავადმყოფი ადა-  
მიანისათვის, რომლებისთვისაც ნა-  
ხშირწყლების რეჟიმი შეზღუდუ-  
ლი არ არის. თაფლი კარგია როგა-  
ნიზმის იმუნობილობიური რეაქ-  
ტივობის ასამაღლებლად, მშვენიე-  
რი პროფილაქტიკური საშუალებაა,  
ხშირად კი ძალიან სასარგებლო  
ავადმყოფობისას, სუსტი და დაუძ-  
ლურებული როგანიზმისათვის.

თაფლის ქიმიური და ბიოლოგიუ-  
რი შემადგენლობა (მასში შედის  
ორგანიზმისათვის საჭირო 70-ზე  
მეტი სხვადასხვა ნივთიერება და  
ელემენტი) მას არამარტო საჟე-  
თესო საკვებად, არამედ მნიშვნე-  
ლოვან ფარმაკოლოგიურ საშუალე-  
ბადაც ხდის. უძველეს დროიდან  
ფუტკრის თაფლს თითქმის ყველა  
ხალხი იყენებდა სამკურნალოდ.

მას შემდეგ, რაც დადგინდა თაფ-  
ლის ქიმიური შემადგენლობა, ბიო-  
ლოგიური, მკვებავი და დიეტური  
თვისებები, მისი გამოყენების სიკე-  
თე მეცნიერულად დასაბუთდა. გუ-  
ლის დავადებათა მკურნალბისას  
აუცილებელია თაფლის ყველა შემა-  
დგენელი ელემენტი. ექიმებს მიაჩ-  
ნიათ, რომ თაფლში შემავალი გლუ-  
კოზია კლასიკური სამკურნალო სა-  
შუალებაა გულის დავადებათა სამ-  
კურნალოდ. იგი სწრაფად შეიწო-  
ვება სისხლში და ენერგეტიკული  
მასალა გულის კუნთისა და სხვა  
ქსოვილებისათვის. ასევე დიდი მნი-  
შვენელობა აქვს თაფლის უნარს —  
გააუმჯობესოს ღვიძლის მოქმედე-  
ბა, გააუვნებლოს ტოქსინები.

სპეციალისტების აზრით თაფლი  
დიდი ეფექტით შეიძლება გამოვი-  
ყენოთ ნაწლავების ქრონიკული ან-  
თების, ყაზბენის დროს.

ძალიან სასარგებლოა თაფლი ბა-  
ვშებისათვის. მასში შემავალი  
პროტეინბი-ცილები აუცილებე-  
ლია ბავშვთა ზრდისათვის. ფუტ-  
კრის თაფლი აქტიურ მიკრობაწი-  
ნაალდეგო პროდუქტადაც არის  
აღიარებული, იგი ახდენს პირის  
ღრუს დაზინფექციას.

სასურველი პროფილაქტიკური  
და სამკურნალო ეფექტის მისაღ-  
წევად საჭიროა გამოვიყენოთ ფუტ-  
კრის სუფთა თაფლი.

ფუტკრის თაფლში აღმოჩენილია  
მრავალი ვიტამინი. ვიტამინების  
შემსწავლელი საკავშირო სამეცნიე-  
რო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ  
ჩატარებული გამოკვლევების შე-  
დეგად დადგენილია, რომ ფუტკრის  
თაფლი შეიცავს B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>5</sub>, B<sub>6</sub>, BC,  
E, C ვიტამინებს და კოროტინს.

ელექტრი საკრეაზილი



# ეპიკურეანული ეკონომიკური

## 6. ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

...თბილისი, 1948 წლის გაზაფ-  
ხული... კარზეა მომდგარი საინტე-  
რესო ასპარეზობა — დედაქალაქის  
პირკელობა მძლეოსნობაში მოსწავ-  
ლეთა შორის... ეძებენ ტალანტებს.  
მომავალ თანრიგოსნებს, პოტენციურ  
ჩემპიონებს.

ფიზკულტურის მაცწვლებელმა  
რეინიგზის მე-3 საშუალო სკოლის  
დირექტორის მიხეილ შაიშელაშვი-  
ლის კაბინეტში მაღალი, ხელ-ხმე-  
ლი, ძარღვანი ბიჭი შეიყვანა.

— აი, პატივცემულო მიშა, მო-  
გიყვანეთ. ეს არის.

დირექტორმა ინტერესით შეათვალიერა ყმაწველი.

— მე მგონი. გაგვიმართლებს იმ-  
ედს. — უთხრა მასწავლებელს და  
მოსწავლეს მიუბრუნდა. — მაგარი  
ძიჭი ჩანხარ, სიმაღლეც შესაფერისი  
გაქვს. ხტომაში უნდა გამოხვიდე.  
ვანძლო ასახელო მშობლიური სკო-  
ლა.

ბიჭმა მხრები აიჩეხა და მორცე-  
ვად გაიღიმა.

...მხრები აიჩენა, შეგიძლებაზე კი  
155 სანტიმეტრი სიმაღლე დასძლია  
და დედაქალაქის ჩემპიონი გახდა.

ასე დაიწყო რობერტ შავლაყაძის  
გზა ღიდ სპორტში, გზა, რომლითაც  
შან თექვსმეტი წელი იარა და არა-  
ერთი ძნელი მწვერვალი დაიპყრო.

...ახლა პირისპირ ვსხედვართ მე  
და ის — ჭაღარაშერეული, წლები-  
თა და გმოცდილებით დატვირთუ-  
ლი სახელვანი სპორტსმენი, ცნო-  
ბილი მწერთნელი, მეცნიერი მუშა-  
კი, ოჯახის მამა და პედაგოგი.

— ვინ იყო ღირდ სპორტში თქვენი  
პირველი მეგზური, რობერტ? —  
ვეკითხები.


სახეზე სევდიანი ღიმილი ეფი-  
ნება.

— გავიმარჯვე თუ არა 1948 წელს,

გაბო ათანელოვამა ჩამჭირა ხე-

ლი, — იგონებს ოობერტ შავშეულე  
ყადე. — საოცრად გულისხმოვანი თუ კა  
ცი და შესანიშნავი მწვრთხელი იყო.  
მისი რეკომენდაციით მაშინვე შემიყ-  
ვანეს საქართველოს ნაკრებში. გაბო  
საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი  
გახლდათ სიმაღლეზე ხტომაში. მისი  
195 სანტიმეტრი კარგა ხანს ვერა-  
ვინ დასძლია. 1954 წელს მე მოვხ-  
სენი მისი რეკორდი (200 სმ ავიღე).  
მით „დინამოს“ ცენტრალური საბ-  
ჭოს რეკორდსმენი და სპორტის ოს-  
ტატი გაცხდი. იმავე წელს საბჭოთა  
კავშირის ნაკრებში შემიყვანეს.

— მარჯვედ გადაგიხდიათ „სამა-  
გიერო“ მასწავლებლისთვის, — ვხუ-  
მრაბ, რა ოქმა უნდა.



ჩელი ასწერდა. როგორ კა-  
სამი გაბო მასწავლებელი ჩემშა  
გამარჯვებამ, — მშობს რ. შევლაყა-  
ძე. — კაცი ცის ეწია სიხარულით.  
სულ „ის ურჩევნია მამულსაო...“ —  
გაიძიხოდა.

...საბჭოთა კავშირის ნაკრებში ნი-  
კიერ ჭაბუქს ჭერ მწვრთნელი ბო-  
რის დატკოვი მეცედინებდა, მერე —  
ბორისის ძმა. კლატიმერი.

ა. რობერტ შევლაყაძის წარმა-  
ტებათა სერმატური ნესტა.

1954 წ. — „დინამის“ ცენტრალუ-  
რი საბჭოს რეკორდსმენი (200 სმ.);

(1955 წ. — წარმატებით დაამთავ-  
რა საქართველოს ფიზიულტურის  
ინსტიტუტი);

1957 წ. — ჩინეთი (პეკინია და  
შანჰაიში), საერთაშორისო შატჩი ჩი-  
ნეთსა და სსრკ-ს შორის. I აღგილი;

1958 წ. — საქართველოს და „დი-  
ნამის“ ცენტრალური საბჭოს რე-  
კორდი;

1959 წ. — „გრიგორი მატჩი“  
ფიზიკულფიზი (აშშ). კვლივ ჩემპი-  
ონია — 206 სმ (დაამარცხა მსოფლი-  
კულის სპორტსმენები — უ-  
ლიამისი, დიუმასი, კაშკაროვი);

1960 წელი — რომის XVII  
ოლიმპიური თამაშები. ისევ ჩემპიო-  
ნია — 216 სმ (აკოდა მსოფლიო-  
კულის სპორტსმენებს — თომასი,  
ბრუმელი. ბოლშევკა);

(1961 წ. — წარმატებით დაამთავ-  
რა ფიზიულტურის ინსტიტუტის ას-  
პირანტურა);

1962 წ. — ევროპის პირველობის  
პრიზიორი;

1964 წ. — კიევი: სსრ კავშირის  
ჩემპიონია — 2:7 სმ (დაამარცხა  
მსოფლიო ჩემპიონი კ. ბრუმელი);

1964 წ. — ტოკიოს XVIII ოლიმ-  
პიური თამაშები. V აღგილი (215 სმ.  
ექიმებს არ დაუჭერა და საასპარე-  
ზოდ ავადმყოფი გამოვიდა)...

— ერთი კაცისთვის ბევრი ჩანს.  
— უამბობ ურთხილად.  
— არა. სხვებმა მეტიც გააკეთეს.  
— თავდაბლად მშობს რობერტ  
შევლაყაძე.

1964 წლიდან იგი ჩამოშორდა  
ეჭიურ სპორტს (არ უნდა დავივიწ-  
ყოთ, რომ რომში 27 წლისა იყო:  
ტოკიოში — შევე ოცდათერთმეტ-

წლის) და ამ წელს და საქართველოს  
ნაკრების „დინამის“ ცენტრალური  
საბჭოს და სპორტთა კავშირის ნაკ-  
რების მწვრთნელია. მმ ხაზით მის  
მუშაობას ისეთი ბრწყინვალე შედე-  
ვები მოჰყავა. რომ მას მოსკოვში დაუ-  
პირეს გადაყვანა, მაგრამ საქართვე-  
ლოს ფიზიულტურის კომიტეტის და-  
კინებული მოთხოვნით 1968 წელს  
განათლების სამინისტროს ბავშვთა  
და მოზარდთა უმაღლესი დაოსტა-  
ტების რესპუბლიკური სკოლის დი-  
რექტორად დაინიშნა და თბილისში  
დარჩა.

1978 წლის 1 იანვარს იგი აფრი-  
კში, კონგოს სახალხო რესპუბლი-  
კაში შეხვდა: მეცნიერული მისით  
მიიღლინეს იქაურ სპორტსმენთა სა-  
წყრონელად. აფრიკაში სამი შელი  
იმუშავა და ბევრი კონგოელი ჭაბუკი  
და ქალიშვილი აზიარი დიდ სპორტს.

1981 წლიდან კი რ. შევლაყაძე  
ისევ თბილისშია და დღემდე საქარ-  
თველოს სასოფლო-სამეურნეო ინს-  
ტიტუტის ფიზიკური აღზრდის ე-  
რედროს უდგას სათავეში:

ერთი სიტყვით, მე მაინც ჩემსახე  
კლგავარ — ყველაფერი ეს ერთი  
დაცისათვის საქმიანებები გაცილებით  
მეტი ჩანს...

— რობერტ, თუ შეიძლება მით-  
ხარით: გეგმაყოფილებთ ის ღონებ.  
რომელზედაც ახლა საქართველოში  
მძღვანელობა და კერძოდ, გამორბე-  
ნით სიმაღლეზე ხტომის სახეობა  
დგას? — დავუსვე ყველაზე საჭირ-  
ბოროტო კითხვა.

მხრები აიწურა, ხელები გაშალა  
და მწარედ გაიღიმა... აღბათ შეუ-  
ძლებელიც იყო უფრო ცხადი და  
ამომწურავი პასუხის გაცემა...

— კი მაგრამ, ასტომ მოხდა ასე?  
— ახლა სხვა მხრიდან მოვუარე  
მთავარ თემას.

რობერტი მცირე ჩანს დუმდა.

— მიზეზი, აღბათ, რამდენიმეა,  
— ოქვა ბოლოს. — ნიჭიერი სპორტ-  
სმენის პოვნა. ამ ნიჭის აღზრდა,  
მწვრთნელის პედაგოგიური იღლო,  
წვრთნის პირობები... მაგრამ, მაინც,  
მე ერთ მთავარ მიზეზს გამოვყო-  
ფლი...

...ერთეულ მიზეზი შაიშმელაშვილის  
კბინეტში მოხვდებოდა, იმ ტანმა-

ლუმა, ჩელე-ჩელელში ბიჭიში და  
ში, „დინამის“ სტადიონსა და სა-  
შტარტის აბლომბალო მრავალურ-  
სებულ სახელდახლო მრავალურ-  
ჭერ კიდევ ბეტონის არტახებში ჩაუ-  
სმელი მტკვრის ჭალებში გაირა ბუ-  
ნებრივი სპორტული წრთობა: სირ-  
ბილი თუ „დაჭერობანა“, („მგელობა-  
ნა“), „კენჭლა“ „ლახტი“, ასკინკი-  
ლა, ქვის როლი მტკვრის გადაცუ-  
რება, მკლავის გადაწევა — ვინ იცის,  
რა სახის შეგიბრება აღარ ტარდებო-  
და ბიჭებს (არა მარტო ბიჭებს) შო-  
რის. ნელ-ნელა, შეუმჩნევლად, მაგ-  
რამ განუხრელად მაგრდებოდა მუხ-  
ლი და უნთი, ვითარდებოდა თვალ-  
ზომა და შეგიბრებაში გამარჯვების  
უნი, იწრთობოდა ხასიათი და ნები-  
სყიფა... ეს იყო ბაზისი, საძირკველ-  
თა საძირკველი. ურომლისოდაც შე-  
უძლებელია სპორტის რომელიმე სა-  
ხეობაში მცირეოდენ წარმატებაზე  
ფიქრიც კი. ახლაც რამდენია მიღა-  
ლი, ხმელ-ტმელი ახალგაზრდა, მაგ-  
რამ... მათ ის ძალები და ძალა. ის  
ვირველადი ფიზიკური შომზადება  
აკლიათ, რომელიც უკვე კარბად  
ჰქონდა დირექტორის კაბინეტში კე-  
დელთან გაუბედავად ატუზულ რო-  
ბერტს.

— ალა? — ფიქრიანი მზერით გა-  
ჰყურებს ფანჯარის რ. შავლაყაძე. —  
ქალაქში თოთქმის მთლიანად ჩაყლა-  
ბა თავისუფალი სივრცე. რაც შეეხ-  
ბა სოფელს... იქ მეტი სივრცეა, მა-  
გრამ ქალაქშიაც და სოფელშიაც ბა-  
ვშვებს ძალიან მცირე დრო აქვთ სი-  
მისონდ, რომ ნებით თუ უნებლივთ  
იზრუნონ საკუთარი სხეულის ფიზი-  
კურ განვითარებაზე. ვფიქრობ, სა-  
კოლო რეფორმა, რომელიც ჩემნა  
პარტიამ და მთავრობამ დასახეს, მნი-  
შენელოვნად განტვირთავს სახეობო  
პროგრამებს და ბავშვებს მეტი დრო  
დარჩებათ გარეთ, პარტზე თამაშისა  
და სპორტული შეგიბრებისათვის.

— რა თქმა უნდა, ძირითადად მა-  
რთალი ხართ, — ვდილობ. მეტი ვა-  
თქმევინ. — მაგრამ ხომ გაგიგო-  
ნიათ, „თუ გული გულობსო...“ მე  
ის მინდა ვოკვა, რომ ჩემნს მოზარ-  
დებს სურვილი, მონდომება აკლიათ,  
თორებ დროსაც გამონახვდნენ, მო-  
დნენებსაც და საცურაო მორევებსაც.

ვერც ვერაფერს მიაღწევ... უნიკალურია

— ესეც სწორია, — მაშინვე მე-  
თანხმება ა. შავლაყაძე. — ამაში არა  
ბარტო მოზარდები, მათი მშობლე-  
ბიც უნდა დავიძონა შაულით. არ შეი-  
ძლება მოელი თავისუფალი დროის  
ტელევიზორისა და მაგნიტოფონის-  
თვის დათმობა. ბავშვები თვალსა და  
ხელს შუა პასიურ მსმენელებად და  
პასიურ მაყურებლად იქცნენ. ეს კი,  
იცით. რამდენი სიავის სათავედ შეი-  
ძლება იქცეს?

— ჯანმრთელობას გულისხმობთ?  
— ძირითადად და უპირველეს  
ყოვლისა. ჯერ ერთი, ჩვენი მოზარ-  
დები ძალზე გასუქდნენ. აბა როგო-  
რი სანახვა? — მოდის პირველკუ-  
სხელი, სხეულს ძლივს ზიდულობს,  
პერანგის ლილები დაწყვეტაზე აქვს.

რტში რამეს მიაღწიო, თუ ფიზიკუ-  
რიად ყოველმხრივ განვითარებული  
არა ხარ. რა მიღწევაზე შეიძლება  
ლაპარაკი, თუ გულის კუნთის მო-  
დუნება, ნააღრევი ჰიპერტონია ან  
სკოლიოზი გჭირს?.. ფიზიკულტურა  
კეშმარიტად მასობრივი უნდა გახ-  
დეს. ურიგო არ იქნება, თუ საშუა-  
ლო სკოლაში მას სავალდებულო სა-  
გნად ვაჭევთ, კერძოდ; გამოსაშვე-  
ბი გამოცდებისას მოსწავლეს მოვთ-  
ხოვთ ელემენტარული ფიზიკულტუ-  
რული ნორმატივების ჩაბარებას. პი-  
რდაპირ სამარცხვინოა, როცა ახალ-  
გაზრდას არ შეუძლია საკუთარი  
სხეულის აჭიმვა ღერძზე ათოლეჭერ  
მაინც, ან მუხლის ჩაუხრელად თი-  
თის წვერებით შეეხოს იატაკს...

ვერც ვერაფერს მიაღწევ... უნიკალურია

რობერტ შავლაყაძეს — სახელ-  
გან სპორტსმენს, რომის ოლიმპიური  
თამაშების, მრავალრიცხოვან შეჯი-  
ბრებათა გამარჯვებულს, ლენინის  
ორდენის კვალერს, მწვრთნელსა და  
პედაგოგს, მეცნიერ მუშავსა და მო-  
ქალაქეს საესტილი აქვს უფლება  
მკვეთრად, კრიტიკული ტონით ილა-  
პარაკოს ჩვენი ფიზიკულტურისა და  
სპორტის, ჯანსაღი და ძლიერი თაო-  
ბის აღზრდის მტკიცნეულ პრობლე-  
მებზე.

— ძველმა ბერძნებმა თქვეს ამ  
25 საუკუნის წინათ, — ასკვნის ა.  
შავლაყაძე. — „გინდა იყო ლამაზი?  
— ირბინე! გინდა იყო ჯანმრთელი?  
— ირბინე!“ ამას მე საერთო ფიზი-

ჟავლაზა  
ძლიერი  
სტილური  
წვრთნისას  
უფროისი  
მაგრავისა  
და  
განავალებლის  
გაგალითია.



ლოფები — დასკდომაზე, სამაგიერ-  
ოდ, მკერდი ჩავარდნილი აქვს,  
მკლავებზე კი კუნთის ნასახსაც ვერ  
უნჩავა... სპორტზე აღარაფერს ვემ-  
ბოდ. ნორმალურად სწავლის კი შეძ-  
ლებს ასეთი ახალგაზრდა? მე მგო-  
ნია, ვერაფერი შვილი სპეციალისტი  
დადგება მისგან...

ფიზიკულტურის კოორდინის გამგედ  
მუშაობის პერიოდში ა. შავლაყაძეს  
კიდევ უფრო განუმტკრცდა აღრინდე-  
ლი რწმენა: შეუძლებელია ღიღ სპო-

რული მოზადების გარჯიშებსა და მი-  
ზანსწრაფულობასაც დაუმატებდი.  
და თუ მოვახერხებთ ისეთი ახალგა-  
ზრდების აღზრდას, რომელთაც ეს  
თვისებები ახასიათებთ, ჩვენ ისევ  
გვეყოლებიან ჩემპიონები!

„თუო“ — თქვა რობერტ შავლა-  
ყაძემ, მაგრამ მის ნათქვამში მე:  
ჩემდა თავად, ურყევი რწმენა მოშეს-  
მა: დიახ, ჩვენ ისევ გვეყოლებიან  
ჩემპიონები!



სორი კორონაციური გარეალი № 3

## ეს მომავრენა

თეას

საქციელი

მეც თეასავით VI კლასში ვსწავლობ. ვარ ოთხსანი. ვცდილობ უფრო კარგად ვისწავლო, მაგრამ ჯერჯერმბოთ ყველა საგანში ვერ მივაღწიე ხუთებზე სწავლას. თეა ბეჭდიერია, რომ ფრიადოსანია. მაგრამ ეს ცოტაა იმისთვის, რომ კლასმა იამაყოს ასეთი ამხანაგით. თეა მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს. ალბათ მას არ ვაუგონია, ილია ჭავჭავაძის ბრძნული ნათევამი „კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესაღ დარგე, ყოველ დღესა შენს თავს ჰყითხე აბა, დღეს მე ვის რა ვარგე“.

არ მომეწონა თეას საქციელი, როცა ნანა უარით გაისტუმრა და არ დაეხმარა. მას დავიშუებია პიონერის ლისხება. მე რომ თეას ადგილზე ვყოფილიყავი, ამხანაგის მოსულით გავიხარებდი და სიამოვნებით დავეხმარებოდი.

ჩემთ თეა, მეგობრულად გირჩევ, გიყვარდეს ამხანაგების დახმარება, მერწმუნე, მათი წარმატებები შენი წარმატებებიცა.

ანანა ქამაღაძე,  
ხულოს რაიონი,  
საშუალო სკოლა, VI კლასი

## ეს გასაკიცხი

წაღიუიოხე უურნალ „პიონერში“ გამოქვეყნებული თმრიკო ბრეგვაძის წერილი „სწორად მოიქცა?“ და ძალიან შევწუხდი.

თეა ვაკიცხვის ლირსია. უფრო მეტიც, თეა ხომ პიონერია, და არა მონია. ასეთი პიონერი გამოადგეს ხალხს, საზოგადოებას.

მარტო ფრიადოსანიბა არ კმარა. განა ადამიანს დადებითი ეთქმის, თუ გაუირვებაში მყოფ ამხანაგს არ დაეხმარა, თუ მხარში არ ამოუდგა. კლასი ცდება, რომ ამაყობს ასეთი პიონერით. მე ვიტყოდი, სამარცხვინც კია, რომ მათ გვერდით არცვარი პიონერია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თეას არ უნდოდა, ნანას დავალება გაკეთებული ჰქონდა. კი მაგრამ განა ამით თეას ფრიადოსანიბა შეიბლალებოდა? არა მონია. აქ თეას მშობლებიც არიან დამანაშვენი, რომ ასე ზრდიან შვილს.

ლია არზიანი,  
ცხაკაიას რაიონი, ლექაძის  
საშუალო სკოლა, IX კლასი.

## სტუმრად

როს

ვავერანთან



ქ. რუსთავის პიონერთა სასახლის ინტერინაციონალური მეგობრობის კულტურული სექციაში „ახალგაზრდული მოძრაობა“ მიზნად დაისახა 1943-1945 წლებში იტალიაში პარტიზანული ბრძოლებისა და მასში მონაწილე ჩვენი თანამემამულების ვინაობისა და საბრძოლო გზის შესწევლა. დავადგინეთ, რომ ჩვენს ქალაქში ცხოვრობს სამამულო ომის ვეტერანი, იტალიაში პარტიზანული მოძრაობის მონაწილე გიორგი ნასარიძე და რომ მას საკუთარ სახლში გახსნილი აქვს პატარა მუზეუმი. დავთევით დღე და მუზეუმის დასათვალიერებლად ვესტუმრეთ სასიქადულო თანამოქალაქეს. მუზეუმი იტალიის ეროვნული გმირის — ჯუზეპე გარიბალდის სახელს ატარებს. მისი კედლები დაფარულია იტალიაში პარტიზანული მოძრაობის მონაწილეების. მისი მეთაურებისა და ომის შემდეგდრონდელი ქართველი და იპალიელი პარიტანების შეხვედრული ასახველი ექსპონატებით.

მუზეუმის დაფარული კულტურული მემკვიდრეობის მემკვიდრეობის გავეცანით იტალიის კომპარტიის მოქ-

ლე ისტორიას, იტალიური კულტურული ბრძოლის გმირულ ეპიზოდებს. შეაკედელზე მოთავსებული იყო ჯუზეპე გარიბალდის ჰედური პარტირეტი (იტალიელი პარტიზანები თავიანთ თავს გარიბალდიელებს უწოდებდნენ). იქვე მოთავსებულია მისი ბრინჯაოს ფიგურა, რომელიც გიორგი ნასარიძეს აჩუქა მისმა იტალიელმა მეგობარმა, ომის დროს პარტიზანული განაყოფის მეთაურმა ვიტორიო ბლანდინომ. რუსთავში ყოფნის დროს.

მუზეუმში წარმოდგენილი მრავალი ექსპონატი იტალიელი და ქართველი პარტიზანების შეხვედრებს ასახვს. გ. ნასარიძეს მრავლად შეუკრებია ფაშისტთა არნაული სისატრიკის ამსახველი ფოტოები. ერთერთ სურათზე აღბეჭდილია სიუზის ოლქში 42. პარტიზანის დახვრეტის მომენტი. იქვეა ფოტოსურათი. რომელზედაც გამოსახულია სიუზის ოლქში მდებარე საძმო საფლავი, სადაც დაკრაქალული არან იტალიის განთავისუფლებისათვის მებრძოლი იტალიელი და საბჭოთა მებრძოლები. მასპინძელმა გვიამბო, რომ იტალიის განთავისუფლებისათვის დაცემულ მებრძოლთაგან იტალიის უმაღლესი ჯილდო—ეროვნული გმირის წოდება მიღებული აქვს მხოლოდ ორ საბჭოთა მეომარს — ლეგენდარულ ფერობრი პოლეტაევს და ჩვენ თანამემამულეს ფორე მოსულიშვილს.

დავათვალიერეთ სტენდები სურათებით, რომლებიც იტალიელი და ქართველი მეგობრების ომის მემტებები შეხვედრებს ასახვენ.

მუზეუმის დაფარულიერების შემდეგ გადავწიგატეთ შევჭმნათ ჩვენს სკოლაში დიდების კუთხე, რომელშეც აისახება იტალიის განთავისუფლებისათვის მებრძოლი საბჭოთა და იტალიელი პარტიზანების მეგობრობა.

ა. ალგორაზვილი, ი. ლაბართავაშვილი, ლ. როლაგარიშვილი,  
ქ. რუსთავის პიონერთა სახალისი - ინტერილუბის წევრები.

# ჩვენი გამოცხადება

ცეტი შუთიც და...

ათასის შუაგულში ლამაზად მორ-  
თული ნაძვის ხე დგას, მისი კონტად  
გაშლილი ტოტებიდან. ბრჭყალა  
სათამაშოები გვიცინიან.

გარეთ თხელი, ცისფერი თოვლი  
დევს; ჩვენ კი, პატარებს, დიდი თო-  
ვლით გვინდოდა ახალ წელთან შე-  
ხვედრა. მაგრამ რაც არის, ამასაც  
ვჭერდებით.

წიქწიქებს საათი...

ხუთი წუთიც და, კა ნაირფერი  
შუშხუნებით შეიიფერება; ხუთი წუ-  
თიც და, აწყარუნდება ერთმანეთს  
მიჭახუნებული სასმისები, აგუგუნ-  
დება „მრავალემიერი“ და ფეხშე-  
ღნიერი 1984 წელი დაისაღვურებს  
ყველანა.

გილოცავთ ახალ წელს, ძვირფა-  
სო თანატოლებო!

სოფია იმთარაზვილი,  
თბილისის კ. დ. უშინსკის სახელობის  
1-ლი ექსპერიმენტული  
საშუალო სკოლა, V კლასი.

## თოვლის ფიფკი

იცნება თეთრი,  
სიცოცხლე თეთრი  
მაღლიდან ფრენით  
ეშვება ქვევით.  
ღრუბელთა შვილი,  
ნაზი და ფრთხილი,  
ჰაერში მღერით.  
ციური ფერით,  
ემთხვევა მიწას,  
ის მიწას იცავს,  
გუმბათებს ფარავს,  
ველ-მინდვრებს ფარავს.  
მაგრამ, ო, ეს მზე  
უმოკლებს მას დღეს.  
წარტაცებს იმ ფერს.

ზაფხული და, თეა გვედლიდა.  
თბილისის 90-ე  
საშუალო სკოლა, I კლასი.

რომელიც თან სდევს.  
ემალება სხივს,  
შიშისაგან თრთის  
მოციქული ცის,  
ძლიერ მოკლე დღის.

კეთილი მიძაბაში,  
წულუკის 1-ლი საშუალო  
სკოლა, V კლასი.

## ყოჩივარდას სიმღერა

ყოჩი ვარ და ამოვედი —  
დაგამარცხე ზამთარი,  
გავახარე ნორჩები და  
ავაყვავე მთა-ბარი.  
პაწაწინა ყვავილი ვარ.  
წითელ კბით მოსილი,  
ბუჩქთან ვზივარ,  
მზის სხივების  
ჩქერით გარემოსილი.

ცირა ორჩოპირიდა.  
ცხინვალი, ქსოისის საშუალო  
სკოლა, IX კლასი.

## აააა

დავხედავ შენი ახალგაზრდობის  
ფოტოსურათებს ძველს.  
და ვთქვა მართალი — უფრო  
მომწონხარ,  
უფრო მომწონხარ დღეს.

მინდა გიყურო სწორედ ამნაირს.  
ვეფერო ჭაღარა თმას.  
ნუ შეგაშინებს სიბერის მოსვლა,  
სევდით ნუ დახრი თავს.

მე მინდა, დიდხანს, დიდხანს იარო,  
იარო ასე მხნედ.

შენი სიცოცხლის დარჩენილ წლებს  
შევუდგამ ამ ჩემს მჩრებს.

წლები თავისას იტყვიან ალბათ,  
კვალში მოყვები მეც.  
დაგედევნები, ძვირფასო მამა,  
როგორც შენ დამდევ დღეს.  
ანდრო გამოეალიძე,  
თბილისის 160-ე საშუალო  
სკოლა, V კლასი.


## ოჯოოს ვაეოდგომა

ამ ლამაზმა შემოდგომამ  
გამავირა, გამაოცა,  
ოქროსფერი ხალიჩები  
ღამის სიზმარივით მომცა.

მზემ დაკარგა თვისი ძალა,,  
თან წაიღო მწვანე ველი  
და ხეებმაც სულ გაფანტეს  
ოქროსფერი სამოსელი.

თიონა ჩემიძე,  
თბილისის 1-ლი საშუალო  
სკოლა, IV კლასი.





## კარტი დაწყებელი

„პატივცემულო ამხანაგო... გთხოვთ გვეშვიოთ ქ. ბათუმის ქ. კაჯაბაძის სახელობის 26-ე საშუალო სკოლის საყოფაცხოვრებო მომსახურებითი შრომისა და გეოგრაფიის წრის წევრთა ღონისძიებაზე — „იცოდეთ, გარჯას არა აქვთ, ვით ზღვასა, ანლო კიდენი“ — ასეთი შინაარსის ღამის მოსაწვევი ბარათები მიიღეს სტუმრად წვეულმა უფროსებმა, მშობლებმა. მოსწავლეებმა.

შრომითი აღზრდა მოზარდთა კომუნისტური აღზრდის მთავარი შემადგენელი ნაწილია. ბავშვმა პატარაობიდანვე უნდა გაიგოს შრომის ფასი. ეს სკოლისა და ოჯახის ერთობლივი სახრუნავია. სწორედ მათხეა დამკიდებული, თუ როგორი იქნება ეს პიროვნება — შრომისმყვარე, თუ პირიქით, უღირსი და უსაქმური.

მოსწავლეებში შრომითი ჩვევების განვითარებას დიდი ყურადღება ეთმობა ბათუმის 26-ე სკოლაში. თუ როგორ დაეუფლენ გოგონები საყოფაცხოვრებო მომსახურებით შრომის თვალითათვის გამოჩნდა ზემოხსენე-

ბულ ღონისძიებაზე, რომლის ძირითადი მიზანი იყო გაკვეთილზე მიღებული ცოდნა-ჩვევების, შრომისადმი ინტერესისა და პატივისცემის, ესთეტიკური ჩვევების დემონსტრირება, საწარმოსთან თუ სპეციალურ სასწავლებლებთან მჰიდრო ურთიერთობის სიკეთის ჩვენება.

ღონისძიება სამგანყოფილებიანი იყო, თითოეულს თვისი სახელი ჰქონდა: „ვუპასუხებო სწორად და სწრაფად“, „ხელმარჯვე გოგონები“ და „ნორჩი მზარეულები“. განყოფილებები ორგანულად უკავშირდებოდა ერთმანეთს. მასში მოხერხებულად იყო ჩართული გეოგრაფიის წრის კონკურსი, რომელიც შრომისა და გარემოს ურთიერთობას ეხებოდა. პარტიობა მოწინააღმდეგე ჭრუფებს შორის „წითელ მიზანს“ და „ვარდების კონას“, „მზის სხივსა“ და „ცისარტყელს“ შორის გაიმართა და ბუნების დაცვის, გეოგრაფიის, აოეი-

„გვიდვას სრუ დაწეროს საიმარო. სო ღონისძიებას.

„გვიდვარ გაზომე და მოთხოვ გაჰვირითა — ნათევამია...“


შიური მაღალი შეცავება მისა მართავისა და ნარჩის ჩაგანაგავს. ▶



ზმისა და ტოპონიმიების გარშემო ტრიალებდა. კონკურსი მოსაწყენი რომ არ ყოფილიყო, შიგადაშე

ჩართული იყო შრომისადმი მიძღვნილი ლექსები. ცეკვები, სიმღერები — პარალელურად მიმდინარეობდა გოგონათა კონკურსი. მოზარდები ერთმანეთს ეჭიბრებოდნენ კაბების კონსტრუირებასა და მოდელირებაში. იქვე ნორჩი მზარეულები სხვადასხვაგარ სალათასა და ნამცხრებს ამზადებდნენ. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა „ქათქათა დიასახლისის“ — ნინო ჭიჭავაძის მიერ დამზადებულმა და ლამაზად გაფორმებულმა დიდმა ტორტმა.

მ. ჭათაშვილებ. სტუმ. რმა მკერავამა



გოგონებს მოუწონა მათი ნახელავი ქვედატანები, ილაპარაკა თავისი ბრივადის წარმატებებზე; „თქვენ ისეთი კერივის ნიჭი გქონიათ, სიამოვნებით ჩაგრიცხავდით ჩემს ბრივადაშიო“, — ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად დაპირდა იგი ბაგშვებს.

ლონისძიებაშ ცხადყო, რომ უკვე ჩაყრილია მოსწავლეთა შრომითი აღზრდის კარგი საფუძველი... ეს კი იმის საწინდარია, რომ სკოლის აღსაზრდელები ცხოვრების სწორ გზას დაადგებიან და არასოდეს შეარცხვენ მის სახელს.

6. ერთობაზოლი

## მ ა რ მ ბ ი ნ ა დ ა

### აავალი

ცაზე ალიონს ასდის ალმური,  
კორდებს სინაზე დაჰკრავს ქალური,  
ეცევებიან ყანები ნიავს,  
ხენი ხვდებიან დილას დავლურით;  
პატარა ჩიტი მიარღვევს ნიავს,  
ოქროს ნისკარტით პანგები მიაქვს,—  
და ამას — ყოველს მამული ჰქვია...

### სამშობლო

მიწავ...

ხარ ერთადერთი,  
რომ ვერ გელევი  
და თავცოცხალი ვერ დაგეხსნები;  
მოვქვედები —  
რაა სადარდებელი,  
სამშობლო მიწავ.  
სად გაგეჩევი...


ზეცა მიწაზე ჩამოღვრილი  
ფეხთ მიფენია,  
ქვეყნად რამდენიც ფანჯარაა,  
მზეც იმდენია...  
ქარები ღრუბლებს მთებს გადაღმა  
მიაჰენებენ,  
ფხვიერ მიწიდან  
ურიამულით ამოშლილან  
ჭიანჭველები...

### გ ვ ი რ ი ლ ა

ფართოდ გაუღია მზისფერი თვალები,  
ხამლად ერთი პეშვი მიწა უქმარია,  
არავინ არ ეძებს,  
არავინ არ ელის,  
კორდზე მარტოდმარტო  
დგას და უხარია...

## მ ა რ მ ბ ი ნ ა დ ა

ზ030 პეტრიაშვილი





უილიამ საკორიანი  
მათევარი გ. ცორჩებიძე

გოთხოვა

ფილდინგ ავენიუზე ძეველი, ორსართულიანი, ყვითლად შეღებილი სახლი იდგა. ჩვენ იქ ხშირად მივდიოდით ხოლმე, წინკართან, კიბეზე ჩამოვსხდებოდით და მანქნებს ვუყურებდით. თან ისე ვიქცეოდით, თითქოს იმ სახლის პატრიონები ვიყავით. დიდი სახლი იყო. ჩვენ არაფერი ვიცოდით მის შესახებ. როცა მისტერ ფიქინსმა დავვიწირა, ჯონი მუთხრა კიდეც, არ ვიცოდით, თუ თქვენი სახლი იყოო.

სახლს სწორედ იმ შელ გაუჩნდა ცეცხლი. ასეთი დიდი ხანძარი მაგეს მცხოვრებლებს არასოდეს ენახათ. თითქმის მთელი ქალაქი უყურებდა, როგორ იწვოდა ძველი ყველი ყვითელი სახლი. ეს ამბავი სექტემბრის ღამეს მოხდა. ბნელი ღამე იღვა და ყველამ შენიშნა ცეცხლის ანაშექი ზამთრის ჩანარებულ ცაზე. ვამშობის დრო იყო, მაგრამ ქალაქელებმა ვახშამი მიატოვეს და ცეცხლის საყურებლად გაცვიდნენ. ვინ ფეხით, ვინ ველოსიპედით მიიჩეროდა; ზოგი მოტოციკლეტით მოგრიალდა, მდიდრები კი ივტოებით მობრძანდნენ. დიდებული და შესაზარი რამ იყო ეს ხანძარი. ბნელ, ჩაშვებულ ცაზე ცეცხლს იმისთანაბრიალი გაქვნდა, რომ მართლაც საზარელ სანახობას ქმნიდა.

\* რო და სამი, დახურე კარი — ჩაუსური ინგლისური საბაჭვო გათვლიდან.

## ორი ლასამი, და გარე

ხალხი ღელავდა, ყველას უნდოდა გაეგო, როგორ წაეკიდა სახლს ცეცხლი. ზოგი ყვიროდა კიდეც; იცოდნენ, რომ შიგ არავინ იყო, და მაინც გაჰყვიროდნენ.

მე და ჯონი ხშირად მივდიოდით იმ სახლთან. იქვე, წინკართან, კიბეზე ჩამოვსხდებოდით ხოლმე. ჯონი ზანგი იყო, მაგრამ თითქმის თეთრი კანი ჰქონდა. არავის უყვარდა ჯონი. თავის ძმებსაც კი ეჭავრებოდათ.

მაგრამ ის სახლი ჯონის არ დაუწვავს.

ჯონის ათასნაირად ემუქრებოდნენ, უამრავ შეკითხვას აძლევდნენ, თუ-მცა ის არაფერ შუაში იყო.

შერიფმა ეფლიმ ისე დააშინა ჯონი, რომ ბიჭი შიშით კინაღამ მოკვდა.

— ეს რა ჩაიდინე?! — უყვირა შერიფმა.

— მე არ წამიკიდებია ცეცხლი. — თქვა ჯონიმ. — გეფიცებით, მე არაფერ შუაში ვარ. რისი გულისთვის უნდა დამეწვა მისტერ ფიქინსის სახლი? ვისაც გინდათ ჰქითხეთ, მე არ წამიკიდებია ცეცხლი.

— ვისაც გინდა? მაინც ვის ვკითხო?

— აი, გლენს ჰქითხეთ. — უთხრა ჯონიმ.

— გლენი ვინ ეშმაკია?

— გლენ ლაილი.

— რაებს იგონებ? — ჰქითხა შერიფმა.

— იმას ჰქითხეთ. — გაიშეორი ჭონიდ.

— მოსამართლე ლაილის უკილზე ამბობ?

— დიახ, სერ, აი, მიღით და ჰქითხეთ, თუ მე გავაკეთე.

— გლენ ლაილს საიდან ეცოდინება?

— გლენი ჩემი მეგობარია. — უპასუხა ჯონიმ. — ჩვენ ხშირად ვისხედით ხოლმე იმ სახლის კიბეზე.

— შენ ზანგი ხარ, არა? — ჰქითხა შერიფმა.

— დიახ, სერ, ზანგი ვარ.

— უცნაური ზანგი კი ხარ — ჩა-

ილაპარაკა შერიფმა. — როგორ მოხდა, რომ შენ მოსამართლე ლაილის ბიჭთან მეგობრობ? ალბათ, ამასაც იტყუები, არა?

— არა, სერ. ჰქითხეთ. თვითონ გლენი გეტუპით ყველაფერს.

შერიფმის ოთახში რომ შევეღი, ჯონის სახეზე ხეითქი გადასძიოდა. შუაღამე გადასული იყო. სახლი მთლად დაიწვა. ცეცხლი ჩააქრეს, მაგრამ ნახანძრალზე კვამლი ჯერ კიდევ აღიოდა.

— შენა ხარ გლენ ლაილი? — მეკითხა შერიფმა.

— დიახ, სერ. — ვუპასუხე.

— მოსამართლე ლაილის ბიჭი?

— დიახ, სერ.

— ამ ბიჭს თუ იცნობ?

— დიახ, სერ, ვიცნობ.

— აი, ხომ ხელავთ! — წამოიძახა ჯონიმ.

— საიდან იცნობ ამ ბიჭს? — მეკითხა შერიფმა.

— ჯონის მამა ჩვენი მებაღეა.

შერიფმის სიტყვებს შეიძლებოდა ჯონი დაეფრთხო, მაგრამ მე ვერ შემაშინებდა. ჩემთვის სულ ერთი იყო, ვინ იქნებოდა ჯონი. მერე რა, რომ დედა ზანგი ჰყავდა, მამა კი თეთრი. მთავარია, რომ ჯონ ბრუჯლინი ჩემი მეგობარი იყო. ჩვენ ერთად გავიზარდეთ. რაც თავი მახსოვდა, ჯონის მამა ჩვენთან მებაღედ მუშაობდა. ჯონი და მე კი დაბადებიდნევ მეგობრები ვიყავით.

— მე მგონი მაქვს უფლება იმას-



თან ვიმეგობრო, ვისთანაც მომეპ-  
რინება, — ვუთხარი შერიფს.

— მერე, მამაშენმა თუ იცის, რომ  
ზანგთან მეგობრობ?

— ეს თუ არ იცის, მაშინ საერთ-  
ოდ არაფერი სცოლნია.

— დაახ, სერ, მისტერ ეფლი. აი,  
კლენს ჰქითხეთ თუ მე წავუკიდე  
ცეცხლი. — არ ცხრებოდა ჭონი.

— მაშ, ამ ზანგმა არ წაუკიდა ცე-  
ცხლი მისტერ ფიქინსის სახლს? —  
მკითხა შერიფმა.

— მაგან ისევე დასწვა ის სახლი,  
როგორც თქვენ. — ვუპასუხე შერ-  
იფს.

— აბა, აბა, ცოტა ზრდილობიან-  
ად! რაკი მოსამართლე ლაილის შეი-  
ლი ხარ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ  
ეგრე უნდა მელაპარაკო. სიმართლე  
მითხარი, უხევშობას კი თავი დაანე-  
ბე, — აღშფუთდა შერიფი.

— მაგას არ წაუკიდებია ცეცხლი,  
— ვთქვი მე.

— აბა, მაშ ვინ წაუკიდა?

მე კი ვიცოდი, ვინ წაუკიდა  
სახლს ცეცხლი, მაგრამ ახლა ამის გა-  
მოცხადებას აზრი არა ჰქონდა.

— აბა მე საიდან უნდა ვიცოდე?  
— ვუთხარი შერიფს.

— იქნებ შენ ვთითონ წაუკიდე,  
ჰა!

— ისევე როგორც თქვენ წაუკი-  
დეთ. — მიგუგე მე.

შერიფს ჩემი პასუხი არ მოეწო-  
ნა. მივხედი, უნდოდა ეთქვა, შენც  
იცი, ვინ ჩაიდინა ეს საქმეო, მაგრამ  
აღარაფერი მითხარი, რადგან თვით-  
ონაც მშვენივრად უწყოდა, თავად  
მისტერ ფიქინსმა რომ წაუკიდა თა-  
ვის სახლს ცეცხლი. შერიფმა ისიც  
იცოდა, რატომ გააკეთა ეს მისტერ  
ფიქინსმა. ჩარტო შერიფმა კი არა,  
ყველამ იცოდა, ვინც ასე თუ ისე იც-  
ნობდა მისტერ ფიქინსს და ვისაც  
ახსოვდა, რა მოხდა მის სახლში ამ  
ცხრა წლის წინ.

ჰოდა, რაკი მისტერ ფიქინსი ცო-  
ცხალი აღარ იყო, მათაც გადაწყვი-  
ტის ყველაფერი ჭონ ბრუკლინისა-  
თვის გადაებრალებინათ, იმიტომ,  
რომ ჭონი თეთრეანიანი ზანგი იყო,  
თეთრი კაცის შვილი. სასტუმრო  
„ჯეფერსონში“ ოთახის კარი რომ  
შეამტკრიეს და მისტერ ფიქინსი

მკვდარი იპოვეს, იფიქრეს, თავისუ-  
ფლად შეიძლება ყველაფერი ჭონ  
დავაბრალოთ. მაგრამ შეცდნენ.

— უხეშად ნუ მელაპარაკები! მე  
ამ დაწყევლილი ოლქის შერიფი ვარ  
